ვ—62
ხუთშაბათი, 28 აპრილი

1877—1905

№ 62
ხუთშაბათი, 28 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверiа“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверia“.

სამედიატორო სასამართლო,

შემდგარი გორის მაზრაში მდებარე მამულის „საფალავანდოს“ გასაყოფად მონაწილეთა შორის, ამით იწვევს სამედიატორო ხელშეკრულობაზე ხელის მომწერთ, გამოცხადდნენ 1905 ს. 27 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში (ქ. ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 10) სამედიატორო განაჩენის მოსასმენად.

(3—1)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ხსენებულ ბანკის წესდების § 89-ისა, **ბანკის რწმუნებულთა წლიური საზოგადო მორიგი კრება** დანიშნულია ქ. ქუთაისში 28 მაისისათვის 1905 წ. 11 საათზე, ბანკის დარბაზში. კრება, წესდების ძალით (შენიშვნა მე-89 მუხლისა), სრულიად კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი.

რწმუნებულთა კრების განსახილველი საგნები 1950 წელს:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული 1904 წლის ბანკის ანგარიშისა.

2) განხილვა და დამტკიცება ბანკის ხარჯთ აღრიცხვისა მდგომარე 1905 წლისა.

3) განაწილება თანხისა საზოგადო საჭიროებისათვის.

4) შეცვლა და დამატება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა.

5) არჩევა ზედამხედველ კომიტეტის და ბანკის გამგეობის თითო წევრისა.

თანაშემწე ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარისა **მ. ფალავა.**

(3—6—2)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაწაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან. და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардiана.**
Тифлисъ, противъ памятн. **Воронцову.** Тел.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 აათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

კიდევ ავტონომიასა და მშრომელ ხალხის ინტერესებზე

მკითხველმაც იცის, რომ ჩვენში არის ერთი ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელიც გულ-გრილად ვერ მოისმენს „ავტონომიაზე“ ლაპარაკს. სიტყვა „ავტონომია“ რაღაც ნერვების ამშლელ თილისმასავით მოქმედობს მათზე და ჩვეულებრივ ასე თუ ისე ლოღიკურად მოაზრე ადამიანს ხელად მსჯელობის კანონებს ურევს და აზროვნებას უბუნდოვანებს.

საკმარისია ერთხელ მაინც გამოსცადოთ ეს პრაქტიკულად,—ალაპარაკოთ ხსენებულ ჯგუფის წარმომადგენელი ამ საგანზე, რომ ხელად დარწმუნდეთ, თუ როგორ უცნაურად მოქმედობს ეს უცხო სიტყვა—ავტონომია—ზოგიერთებზე. ეს “ზოგიერთები“ მაშინვე გრძელ ლათაიებს გაგიბამენ ,,ბურჟუაზიულ თაღლითობასა,‘‘ ,,კლასობრივ ბრძოლასა“, „პროლეტარის გაჭირვებასა“-„ბურჟუაზიულ იდეოლოგებსა“ და სხვა ამგვარ „მატერიებზე“ გიკითხავენ გრძელ ლექციას, რომ საზოგადოებაში კლასები არსებობს, რომ კლასობრივ ბრძოლის უარყოფა არ შეიძლება, რომ მუშა-ხალხის შეერთება საჭიროა, მშრომელთა ინტერესებს დაცვა უნდა და სხვადასხვა. უყურებთ და გიკვირთ,—გიკვირთ, რომ თქვენ ერთ საკამათოდ გამხდარ საკითხზე გინდათ პასუხი მიიღოთ, ისინი კი, ამის მაგივრად, ისეთ რამეებს გიქადაგებენ, რაც თქვენ საკამათოდ არ გაგიხდიათ და არც აღძრულ საკითხს უდგება დასაკავშირებლად.

საკითხი ამგვარად არის დაყენებული: არის თუ არა საქართველოს ავტონომიური თვით-მართველობა, რომელსაც დემოკრატიული, ე. ი. სახალხო ინტერესების გამომხატველი პრინციპები უნდა დაედვას საფუძვლად,—არის თუ არა ასეთის საკანონმდებლო უფლებით აღჭურვილი შინაური თვით-მართველობა ქართველ მუშა-ხალხისთვის სასარგებლო და სასურველი? თუ ის არის უმჯობესი, რომ ჩვენს ხალხს თავის ინტერესების დაცვა პოლიტიკურად მხოლოდ სრულიად-რუსეთის საერთო პარლამენტში შეეძლოს და მისი შინაური ცხოვრება პეტერბურგის ცენტრალურ ორგანოს სამოქმედო ასპარეზიდან არ იყოს გამოცალკევებული? საკითხი ესაა და მოკამათეც ამაზე უნდა იძლეოდეს პასუხს.

მაგრამ ჩვენი ნაცნობები პირდაპირ დასაბუთებულ პასუხის მოცემას ერიდებიან,—ალბად იმიტომ, რომ საბუთზე მწყრალად ბრძანდებიან. ზოგიერთი მათგანი კერძო ლაპარაკში პრინციპიალურ წინააღმდეგობას არ უცხადებს ავტონომიის იდეას,—პირიქით, თავისი თავი თეორიულ მომხრედაც გამოჰყავს, მაგრამ როგორც კი ეტყვით: მაშ თუ ეს ასეა, თუ ასეთი თვით-მართველობა მართლა სასარგებლოა, კიდეც მოითხოვეთ გაბედულადაო,—მაშინვე ყალყზე შედგება, „პრინციპიალურ თანხმობას“ დაივიწყებს და ბურჟუაზიის შესახებ ადვილად სათქმელ „ლექციას“ შეუდგება...

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ამ საგანზე ჩვენი აზრი, რომელიც თავის თავად მარტივი და ადვილი გასაგებია. დამოუკიდებელი დემოკრატიული თვით-მართველობა ისეთი პოლიტიკური ფარგალია, რომელშიაც ქართველ მშრომელ ხალხს საუკეთესოდ შეუძლიან დაიცვას თავისი ინტერესები და გაიუმჯობესოს თავისი ცხოვრება.

ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მასში დიდი თვითცნობიერება და შეგნებაა. მან ამ მხრით ისეთი უნარი გამოიჩინა, რომლის მსგავსს დაწინაურებულ ევროპის სახელმწიფოებშიაც ვერ ვხედავთ. თვით ჩვენი ეკონომიური ცხოვრება ისეთია, მთელის ქართველ ერის კლასობრივი დანაწილება და კლასთა შედარებითი რიცხვი და მათი ძალღონის გამოხატულება იმ გვარია, რომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებაში უეჭველად მშრომელ ხალხის წარმომადგენლებსა და, მაშასადამე, დემოკრატიულ პრინციპებს ექნება უმრავლესობა და უპირატესობა. სწორედ იმ სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობის გამო, რომელშიაც ქართველი ერი ამ ჟამად იმყოფება, ჩვენში ნიადაგი არა აქვს ფეოდალურ-ბურჟუაზიულ იდეებსა და მოღვაწეობას. ქართულ ენაზე დღეს ერთი ორგანოც კი არ არსებობს ისეთი, რომელიც გამომხატველი იყოს კონსერვატიულ-კლერიკალურ აზრებისა და მიმართულებისა. ხალხი იზრდება გონებრივად დემოკრატიულ საზრდოთი და ამ საზრდოს ნოყიერებას ხელს უწყობს და ნიადაგს აძლევს ხალხისავე სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა.

და, აი ასეთ გარემოებაში მყოფ ხალხს ზოგიერთი ჩვენი მქადაგებელი ურჩევს,—რუსეთის ცენტრალიზმს მხარი დაუჭირე და ავტონომიის მოთხოვნაზე უარი განაცხადეო!.. ურჩევს იმ ცენტრალიზმს, რომელიც შორიდანაც კი ვერ მიუდგება ხალხის საჭიროებას, ვინაიდან მასში უდიდეს ძალის შემდგენნი კონსერვატიული და წყალწყალა ლიბერალური პარტიები იქნებიან. ქართველმა მუშამ, თავის ეკონომიურ ინტერესების დაცვის მხრივაც კი, უნდა უცადოს, სანამ რუსეთის ბნელი გლეხობა გამოფხიზლდება და კანონმდებლობას სხვა მიმართულებას მისცემს.

ეს ისეთი ცხადი ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენ უბრალო აქსიომად მიგვაჩნია. უეჭველია, მოვა დრო, როცა ქართველი მუშა თავის თვალითვე დაინახავს ზოგიერთ „მრჩევლების“ შეცდომას და დარწმუნდება, რომ ის, ვინც სიტყვით მის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, ნამდვილად რუსეთის ბურჟუაზიის დამხმარე გამოდგა...

გადასახადი შემოსავლის კვალობაზე *)

ფინანსთა სამინისტროში კიდევ ერთი ახალი კომისია შესდგა. ამ კომისიამ უნდა გამოიკვლიოს, შეიძლება თუ არა რუსეთში შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება, და თუ შეიძლება, როგორ უნდა შემოიღოსო. კომისიაში მხოლოდ მოხელენი იღებენ მონაწილეობას, ის მოხელენი, რომელნიც ნიჭითა და ცოდნით კი არ წაწეულან წინ, არამედ სამაგალითო ყურმოჭრილობითა და მორჩილებით. აი, სწორედ ამიტომ შეიძლება ეხლავე დანამდვილებით ითქვას, რომ ამ კომისიის შრომიდან არაფერიც არ გამოვა. გადასახადების საკითხი იმდენად რთული და დახლართულია, რომ იმის გამორკვევა-გამოხლართვა მხოლოდ იმ ხალხის წარმომადგენლებს შეუძლიანთ, რომელთაც ეს გადასახადი აწევთ კისერზე. კაბინეთში აღზრდილნი და ცხოვრებისაგან გარიყულნი ბიუროკრატნი ამ საქმეს უფრო დახლართავენ და გაამწვავებენ. ეს მოსაზრება უკვე მართლდება. იმ დროს, როცა მთელმა რუსეთმა გადაჭრით განაცხადა, რომ რუსეთში შემოსავლის კვალობაზე გადასახადი დაუყოვნებლივ უნდა იქმნეს შემოღებულიო, კუტლერის კომისია ბრძნულად ფიქრობს და არჩევს, საჭიროა თუ არა რუსეთისთვის ასეთი გადასახადიო. უსამართლო გადასახადებით გაქურდული და გაღატაკებული ხალხი ჰყვირის, სამართლიანობა გვიჩვენეთ და ასეთი გადასახადი შემოიღეთო; ფინანსთა სამინისტრო კი ყურსაც არ იბერტყავს და აცხადებს: „დაიცადეთ, ნუ ჩქარობთ, ჯერ ჩვენს კანცელარიაში უნდა გაირჩეს ეგ საქმეო“... სწორედ რომ არაჩვეულებრივ და ეპიურ სიმშვიდით აღჭურვილა სამინისტრო. ხალხი ამბობს: სახელმწიფო ბიუჯეტის შესაქმნელად ყველაზე უფრო სამართლიანი ღონისძიება—შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესებაა, და ამიტომ ამნაირი გადასახადი დაუყოვნებლივ უნდა შემოიღოთო, ბიუროკრატიის კაბინეთში კი მხოლოდ ეხლა კითხულობენ, შეიძლება თუ არა რუსეთში ამ სისტემის შემოღებაო? აი, სწორედ ამნაირ საქმეებით მტკიცდება, რომ პეტერბურგის კაბინეთი ცხოვრებას ცხრა დღის სავალზე ჩამორჩა. თუ საზოგადოება თვითონვე ამბობს, რომ ეს გადასახადი გვინდაო, სჩანს, რომ ეს გადასახადი მართლა საჭიროა და შესაძლებელიც ყოფილა. კომისიამ თავისი საქმე იმით დაიწყო, რომ უნდა ამნაირ გადასახადის შემოღებაზე უარი სთქვას. ნამდვილად კი კომისიას ჯერ უნდა გამოეკვლია და დარწმუნებულიყო, რომ არსებული გადასახადები მშრომელ ხალხს საბოლოოდ აღატაკებს, სძარცვავს და უკანასკნელ პერანგს გაახდევინებს. ის ბობოლა ჩინოვნიკები და მუქთამჭამლები კი, რომლებმაც თავის შემოსავლის შესაფერი გადასახადი უნდა იკისრონ, ნამდვილად არაფერსაც არ იხდიან და ხალხის ზურგიდან ამოღებულ გროშებსაც ისე ჰფანტავენ, როგორც უნდათ. გარდა ამისა, სამინისტრომ ის უბრალო ჭეშმარიტებაც კი არ მოიგონა, რომ ამნაირ გადასახადის შემოღება რუსეთში ხალხის წარმომადგენელთა დაუხმარებლად ყოვლად შეუძლებელია. ეს კომისია, უეჭველია, არქივებიდან ევროპაში არსებულ გადასახადის სისტემას ამოსჩხრეკავს და კითხვას დაიწყებს, მაგრამ რამდენიც უნდათ, იმდენი ჰქექონ არქივები, სულ ერთია, აქედან არაფერიც არ გამოვა, რადგან ეს საერთო, სახალხო საქმეა და იმის გადაწყვეტა მხოლოდ იმ ხალხსვე შეუძლიან, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის ბურჯია და თავის შეძლება-ძალაც ბიუროკრატიაზე უკეთ იცის.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

26 აპრილი

პეკინი. მიღებულ დეპეშათა თანახმად, დალაი-ლამა ძინანფუს 5 მაისს გაემგზავრება; თან გაჰყვება უნზა-ამბანი. შესაძლოა ძინანფუს დალაი-ლამამ მოუცადოს რუსეთის ელჩად პეკინში ახლად დანიშნულ პოკატილოვის მოსვლას და სთხოვოს დახმარება, რომ ისევ დაიბრუნოს თავისი თანამდებობანი.

კოვნო. კერძო სტამბებში გაიფიცნენ მუშები.

ბაქო. ბაქო-ტფილისის გზაზე რკინის გზის ბუფეტებში მოსამსახურეთა გაფიცვა დასრულდა. ბუფეტები ისევ გაიხსნა.

მოსკოვი, 26 აპრილი. გამომცდელი კომისიები მოქმედებას იწყებენ მოსკოვის უნივერსიტეტის სამ ფაკულტეტში.

ბერლინი. იმპერატორი ვილჰელმი ჩავიდა სტრასბურგს.

ჰელსინგფორსი, 26 აპრილი. პეტერბურგიდან გაგზავნილმა პოლიციელმა ჩუკაევმა და ადგილობრივმა პოლიციელმა კავანსკიმ სასტუმრო „სოსიეტეში“ სტატსკი სოვეტნიკი კასპეროვი დააპატიმრეს. კასპეროვი 19 აპრილს აქეთ ცხოვრობდა ჰელსინგფორსში ბერგმანის სახელით, წინად კი ცხოვრობდა ვიბორგში, სასტუმრო „ბელვედერში“, კრავცოვის სახელით.

მოსკოვი. პოლიციამ გამოძიება დაიწყო კოლიაევის ვექილის მენდელშტამის შესახებ,—ვექილთა კრებაში კოლიაევის საქმეზე საიდუმლო ცნობები გამოამჟღავნაო.

ვარშავა. აღელვება, როგორც ეტყობა, დაწყნარდა. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ბელოსტოკი. 25 აპრილს, საღამოს 9 საათზე, მიშონძნიკის სტამბაში შევარდა 30 კაცი, უმეტესად ყმაწვილი, და მოითხოვა დათხოვნილ ბავშვის სამსახურში ხელახლად მიღება. უარის მიღებაზე ხალხმა რამოდენიმეჯერ ესროლა მიშონძნიკს. ტყვიები კედლებს მოხვდა. ხალხი მშვიდობიანად დაიშალა.

რეველი. სოფელ მარიენ მაგდალენთან სამ სოფლის მამულში გლეხთა მოძრაობა დაიწყო. ვეისენშტეინიდან გაიგზავნა ჯარები. თერძებმა მუშაობა დაიწყეს ისევე. შეგირდებს ზოგიერთი რამ დაუთმეს.

ლოძი, 26 აპრილი. მეპურეები გაიფიცნენ. ქალაქში საკმარისი პური არ არის.

კანეია, 26 აპრილი. რეტიმეს ოლქში, სოფ. მილოპოტამში, რევოლიუციონერთა მეთაურმა რიროკისმა დაიჭირა ჟანდარმები და წინადადება მისცა, აჯანყებულთ შეუერთდითო. ჟანდარმთა ერთი ნაწილი დასთანხმდა. დაბრუნდა კანეიას ბრიტანიის კრეისერი.

დონის როსტოვი, 26 აპრილი. გაზ. „სინ ოტეჩესტვა“-ს მე-54 №-ში მოთავსებულს ცნობას დონის როსტოვში 11 აპრილს მომხდარ ამბების შესახებ უარ-ჰყოფენ შემდეგის ოფიციალურის ცნობებით: სხდომის შემდეგ არა კეთილ-საიმედო კაცთა ჯგუფიდან, რომელნიც გარეშე მაყურებლად იყვნენ, წარმოსთქვეს მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები და დაიწყეს სარევოლიუციო სიმღერები. როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი წყნარად წავიდ-წამოვიდა თავთავიანთ სახლებში, სარევოლიუციო სიმღერებით ქუჩაში გამოვიდა სოციალ-დემოკრატების ჯგუფი, რომელმაც პოლიციის წინადადებაზე—„დაიშალენითო“—უარი განაცხადა და პოლიციელებს ქვები და ჯოხები დაუშინა, რის გამოც მსუბუქად დაშავდა ექვსი პოლიციელი. მაშინ პოლიცმეისტერმა სთხოვა კაზაკთა ასეულის უფროსს,—ხალხი გაჰფანტეო, რაიცა ასრულებულ იქმნა, ასე რომ, კაზაკებს იარაღი არ უხმარიათ, ხოლო ზოგიერთები კი დააშავეს კაზაკებმა მათრახებით. დაშავებულთ ქალაქის უფროსისთვის საჩივრით არ მიუმართავთ. ქალაქის საავადმყოფოში არც არავინ მომკვდარა კაზაკთა ცემისაგან და არც დასახიჩრებულნი, დაჭრილნი და დაშავებულნი არ ყოფილან. მხოლოდ ებრაელთა საავადმყოფომ გამოაცხადა, ერთ ქალს ხელი დაუშავდაო, მაგრამ ამ ფაქტის სიმართლე ჯერაც არა სჯერათ. მაინც ფორმალური გამოძიება სწარმოებს.—ის ამბავი, ვითომ ბოქაულმა ლეონტიევმა თავის ნებით მოწაფეები აიკლო, რის გამოც მთავრობამ ჯერ სამის დღით დააპატიმრა, ხოლო მერე კი პოლიცმეისტერის თანაშემწედ დანიშნაო,—ტყუილია.

მოსკოვი, 26 აპრილი. გუშინ დაიწვა სახლი, სადაც ჟანდარმერიის სამმართველოს ადიუტანტი ცხოვრობდა. მისი ცოლი, ბავშვით ხელში, ცეცხლიდან პერანგა გამოვარდა, ფეხშიშველა ერთს ვერსზე მეტი გაირბინა და ნაცნობებს შეაფარა თავი. ადიუტანტი მეორე სართულის ფანჯრიდან გადმოხტა.

ბათუმი, 26 აპრილი. „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ იუწყება, სადგურზე დაიჭირეს ორი ყუთი, რომელშიაც იყო 110 გირვანქა სტამბის ასოები, საიდუმლო სტამბისთვის. დაიჭირეს რამდენიმე აგიტატორი, რომლებიც ჯარის კაცებს სამსახურიდან გაქცევასა და თოფების გატაცებას ურჩევდნენ.

ბერლინი, 26 აპრილი. გერმანიის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები შილლერის სახსოვრად დიდებულ დღესასწაულების გამართვის შესახებ.

პეტერბურგი. ქალაქებში: მელიტოპოლსა, კილნისა, გროდნოსა და სმორგონში გამოცხადებულია გაძლიერებულის დაცვის წესები.

ირკუტსკი, 26 აპრილი გზათა მინისტრი გუშინ ხარბინიდან დაბრუნდა.

სრეტენსკი. ბაიკალის გზაზე ზვავი ჩამოწვა და ლიანდაგი გაათუშა. მატარებელი გზაში გაჩერდა. ხალხი არ დაშავებულა.

სტამბოლი, 26 აპრილი. გერმანიის პრინცის ქორწინებაზე სულთნის წარმომადგენლებად დასწრებიან მინისტრი ტურხან-ფაშა და გენერალი აბდულა.

პეტერბურგი, 26 აპრილი. ოფიციალურად. 10 აპრილის გაზეთ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს ნომერში დაბეჭდილია, ვითომც ფინანსთა სამინისტროს რწმუნებული კაზემბეკი პასუხის გებაში იყოს მიცემული სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის და ვითომ მას კავშირი ჰქონდეს კასპეროვთან, რომელმაც დიდძალი სახაზინო ფული გაჰფლანგა. ეს ამბავი მართალი არაა. პურის ყიდვა საკვებ მასალისათვის და მისი დამზადება საინტენდანტოსთვის—ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განცალკევებული, სულ სხვადასხვა მანდობილება და საქმეა. პირველს აწარმოებდა კასპეროვი ისე, რომ სავაჭრო დეპარტამენტის განყოფილება არავითარს მონაწილეობას არ იღებდა, მეორეს კი ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო დეპარტამენტის განყოფილება და მისი რწმუნებული კაზემბეკი აწარმოებს. კაზემბეკის მოქმედებასა და კასპეროვის ფულის გაფლანგვას შორის საერთო არა არის-რა. კაზემბეკი პასუხის-გებაში არაა მიცემული, მაგრამ ჯერ კიდევ სანამ ის სამინისტროს რწმუნებულად დაინიშნებოდა, მისს საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა პეტერბურგის ოლქის სამხედრო გამომძიებელი, იმის გამო, რომ კაზემბეკმა საინტენდანტოს სამსახურში მყოფს დამზადებულ პურის მიმღებს წინადადება მისცა, რომ სხვა, გარეშე კაცისაგან დამზადებული ვიყიდე პური, რომელიც მივიღე კიდეც, და ის შეიძინეო. ამ საქმეს სენატი აწარმოებს და წინასწარი გამოძიება უნდა მოახდინოს სამოქალაქო გამომძიებელმა და არა სამხედრომ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

26 აპრილი.

ლონდონი. „ცენტრალ ნიუს“-ის კორესპონდენტი ესაუბრა გაიაშის, რომელმაც განაცხადა: საფრანგეთის მთავრობამ დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსის ესკადრას და ამიტომ საქმეთა მდგომარეობა მეტად საგრძნობელიაო. მე მაინც იმედი მაქვს, რომ იაპონიასა და საფრანგეთს შორის უთანხმოება არ მოხდება. მიღებულ ცნობებით შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ ამბები

---

*) „სინ ოტეჩ.“, № 54.

დახმარების აღმოჩენის შესახებ მართალია,— დაამთავრა გაიშიმ.—„ცენტრალ ნიუს“-ს ნამდვილ წყაროებიდან შეუტყვია, რომ ეს უთანხმოება უცაბედი არ არის. იაპონიამ იცოდა, რომ საფრანგეთმა და სხვა სახელმწიფოებმა არ შეიწყნარეს, რომ ნეიტრალურ ნავთსადგურებში გემები გაჩერებულიყვნენ 24 საათის განმავლობაში, როგორც ეს ინგლისმა დააწესა. იაპონიამ 48 საათი უცადა და შემდეგ გაჰგზავნა პარიზში საჩივარი კამრანის ნავთსადგურში როჟესტვენსკის ესკადრის გაჩერების თაობაზე. საფრანგეთმა კოხინხინის მოხელეებს ინსტრუქციები გაუგზავნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბრძანება არ შეასრულა, როჟესტვენსკიმ კი ყველაფერი განზრახ უყურადღებოდ დასტოვა. სხვა დროს იაპონია საფრანგეთს ომს გამოუცხადებდა და მაშინ ვეღარ შესძლებდა რუსის ესკადრისთვის დახმარება აღმოეჩინა, რადგან ყველაფერი თვითონ დასჭირდებოდა. ამის გამო იაპონია გულითაა მოწადინებული, რომ ეს საქმე დროით გათავდეს, მით უფრო, რომ არავითარი გარანტია არა აქვს მომავლისათვის საფრანგეთის მხრით, რადგანაც იგი ძლიერ აჭიანურებს და გვერდს უხვევს ამ საქმეს.

პარიზი. ოფიციალურ ცნობაში გამოცხადებულია პროტესტი იმის გამო, რომ უცხო სახელმწიფოებმა განაცხადეს, ვითომც საფრანგეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვიაო. ამ ცნობაში ნათქვამია, საფრანგეთი, პირიქით, მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ სასტიკად ედევნებინათ თვალყური ნეიტრალიტეტის დაცვისთვისო.

შანჰაი. იაპონიის კონსულმა პროტესტი განაცხადა იმის თაობაზე, რომ რამდენიმე გემი ნახშირით დაიტვირთა. ჰფიქრობენ, ეს გემები ბალტიის ესკადრას შეეგებებიანო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ლინევიჩისა ხელმწიფისადმი, 25 აპრილის თარიღით: „დღეს დავათვალიერე რუსეთიდან ახლად მოსული ჯარები. ბედნიერი ვარ დავამოწმო თქვენს წინაშე, ხელმწიფევ, რომ ჯარის კაცნი მამაცად და მხნედ არიან, და მთხოვენ განვართხო თქვენს ფერხთა ქვეშე მათი განუსაზღვრელი გრძნობანი სიყვარულისა სამშობლოსა და ტახტისადმი. ისინი მზად არიან თავ-განწირვით იბრძოლონ მანჯურიაში იმავე მტკიცე რწმენით, როგორც მათნი მამა-პაპანი იბრძოდნენ.

ჰონკონგი. ფიქრობენ, რომ ნებოგატოვის ესკადრა შეუერთდა როჟესტვენსკის ესკადრას ჩინეთის ზღვაში.

პარიზი. ამოისა და ჰონკონგის შუა შენიშნეს იაპონიის გემები. იაპონია აცხადებს, ხელთა მაქვს იმის საბუთებიო, რომ როჟესტვენსკიმ საფრანგეთის ოფიცერთა დახმარებით მიიღო სურსათი. იაპონიის აზრით, როჟესტვენსკის ახლა საფრანგეთი უფრო ეხმარება, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომ პირდაპირ ომი გამოეცხადებია იაპონიისთვის.

ოდესსა. ინგლისის გემზე „სვანლეიზე“ პორტ-არტურელთა მეოცდაოთხე ჯგუფი მოვიდა, სულ 1032 ადამიანი.

ლონდონი. რუსეთის საელჩო აცხადებს, როჟესტვენსკის ახალი ინსტრუქციები გაეგზავნაო საფრანგეთის ნეიტრალიტეტის შესახებ.

ჰონკონგი. როჟესტვენსკის საიდუმლო თათბირი ჰქონდა ჟონკიერთან და გემების უფროსებთანაც. გემებიდან ხმელეთზე აღარავის უშვებენ.

პარიზი. გემი „ნეიმუხლერი“ კამრანის მახლობლად ჩვენს გემს შეხვდა გზაში. საფრანგეთის მთავრობა აცხადებს,—რუსეთის ესკადრა გავიდა ხანკოიდანო. საზღვაო წრეებში ფიქრობენ, რუსეთის ორივე ესკადრა დღეს ტონკინის ყურესთან შეერთდაო. ტოგო რამოდენიმე დიდ გემს თავს უყრის კორეის სრუტეში. მისი კრეისერები ვლადივოსტოკს სდარაჯობენ. შანჰაის მთავრობა გასვლას არ ანებებს ხუთ ნახშირის მტვირთავ გემს, რომელიც უნდა გასულიყო ბალტიის ესკადრისთვის.

ლონდონი, 26 აპრილი. „ტაიმსი“ იუწყება, პარიზში ხმები დადიოდა კორეის სრუტეში იაპონიის საფლაგმანო გემის „მიკაზა“-ს დაღუპვის შესახებო. ერთნი ამბობდნენ, მცურავ ნაღმს მოჰხვდა და აფეთქებით დაიღუპაო, მეორენი კი გაიძახოდნენ—კლდეს დაეჯახაო.

პეტერბურგი, 26 აპრილი. ლინევიჩის დეპეშა ხელმწიფისადმი: „მეორე რანგის კაპიტანმა ბარონ რადენმა, როდესაც ვლადივოსტოკიდან იაპონიის ნაპირებსა ზვერავდა, სუტსუკის კონცხიდან 2 მილის მანძილზე, დასწვა იაპონელთა ნავი, ხოლო ნავის მეზღვაურნი კი ნაპირზე გადმოსხა, 15 მილის მანძილზე იაპონიის ნაპირებიდან, და დაიჭირა იაპონელთა მეორე ნავი, რომლიდანაც 9 მეზღვაური გადმოსხა, ხოლო ეს ნავი კი ვლადივოსტოკში გაჰგზავნა“.

ლონდონი, 26 აპრილი (რეიტერი). საფრანგეთის წყლებში ბალტიის ესკადრის ყოფნის გამო, გაიაშიმ აუწყა „რეიტერის“ წარმომადგენელს, მდგომარეობა მეტად სამძიმოა, მაგრამ, როგორც ეტყობა, კრიზისი დიდხანს არ გასტანს, რადგან საფრანგეთმა გადასწყვიტა, სასტიკად დაიცვას ნეიტრალიტეტიო. უნდა ვიფიქროთ, საფრანგეთი ყველანაირად ეცდება და იაპონიის საზოგადოებას დაამშვიდებსო. გაიაში უარჰყოფს რუსეთის განცხადებას, ვითომ იაპონია არღვევდეს ნეიტრალიტეტს იმითი, რომ ბორნეოს წყლებით სარგებლობს. შეკითხვისა გამო ქვემო პალატაში ბალფურმა სთქვა: საფრანგეთის მთავრობამ როგორც კი გაიგო, რომ როჟესტვენსკის ესკადრა კამრანის ნავთსადგურში იმყოფებაო, მაშინვე პეტერბურგში აცნობა. რუსეთის მთავრობამ უბრძანა როჟესტვენსკის ნავთ-სადგურიდან წასულიყო და ეს ბრძანება როჟესტვენსკიმ კიდეც აასრულაო.

ჰონკონგი, 26 აპრილი. გერმანიის გემმა „ნეიშილლერ“-მა, 23 აპრილს, კამრანის ახლოს, 45 გემი ნახა. მათ შორის 20 სამხედრო გემი იყო. გემმა „ხაიმუნ“-მა, 23 აპრილს, ამოისთან იაპონიის კრეისერი დაინახა.

პარიზი, 26 აპრილი. პრესსასა რა სჯერა იაპონიის საჩივარი, მაგრამ საზოგადოება შეწუხებულია იმ აღელვებით, რომელიც ამ საქმემ ინგლისში გამოიწვია. „მატენ“-ი ოფიციალურ განყოფილებაში აცხადებს, იმის შემდეგ, რაც როჟესტვენსკი ბალტიის ზღვიდან გავიდა, საფრანგეთის მთავრობას მხოლოდ ერთხელა ჰქონდა მიწერ-მოწერა, იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ნავთ-სადგურში რუსეთის ორი დაზარალებული ნაღმოსანი შევიდაო. უცხო ქვეყნის გემები ესკადრას ნახშირს საფრანგეთის წყლებში არ უზიდავენო. ის ცნობა, ვითომ რუსის ესკადრისთვის საფრანგეთის მთავრობის ნებართვით საიგონსა და კამრანში ნახშირი და სხვა საქონელი დაემზადებინოთ,—ტყუილიაო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

—

რუსეთისა და იაპონიის ესკადრები. ადმირალ როჟესტვენსკის ნებოგატოვის ესკადრაც მიეშველა და რუსეთის ფლოტი ცოტად თუ ბევრად, გაძლიერა. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მაინც ტოგოს ფლოტი სჯობია რუსეთის ფლოტს, რაიცა შემდეგიდან სჩანს:

ზარბაზნების ყალიბი და სიგრძე:	ზარბაზნების რიცხვი გემის ერთ მხარეზე: ტოგოს.	ზარბაზნების რიცხვი გემის ერთ მხარეზე: როჟესტ.	წონა იმ ყუმბარებისა, რომელსაც ეს ზარბაზნები 15 წუთში ისვრიან. ტოგოს.	წონა იმ ყუმბარებისა, რომელსაც ეს ზარბაზნები 15 წუთში ისვრიან. როჟესტ.	რამდენ ყუმბარის გასროლა შეუძლიანთ 15 წუთში. ტოგოს.	რამდენ ყუმბარის გასროლა შეუძლიანთ 15 წუთში. როჟესტვენსკის.
12 დუიმ. სიგრძით 40 კალიბრისა.	20	20	2,352	2050	100	100
„ „ „ 35 „	—	4	—	246	—	12
„ „ „ 30 „	—	2	—	123	—	6
10 „ „ 45 „	1	15	83	1237	6	90
9 „ „ 35 „	—	2	—	92	—	12
8 „ „ 45 „	6	—	332	—	60	—
8 „ „ 40 „	24	—	1,328	—	240	—
6 „ „ მსწრაფლმსროლ.	71	32	2,947	1215	1065	480
ჯამი	122	75	7,042	4,963	1471	700

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ ახლო მანძილზე ბრძოლის დროს ადმირალი ტოგო გაცილებით ძლიერია ადმირალ როჟესტვენსკიზე. 6 ვერსზე იაპონელები რუსებზე ორჯერ მალე დასცლიან (რუსები 700-ჯერ, იაპონელები კი 1471). იმ დროს, როცა რუსები იაპონიის ფლოტს 5000 ფუთის წონა ყუმბარას ესვრიან, იაპონელები 7000 ფუთს დაუშენენ. ხოლო შორს მანძილზე როჟესტვენსკი იქნება ტოგოზე ძლიერი (რუსები 3,533 ფუთს ესვრიან, იაპონელები კი მხოლოდ 2,435 ფუთს). ძალიან დიდ მანძილზე ტოგო ისევ ძლიერი იქნება როჟესტვენსკიზე. თუმცა ახალი 12 დუიმიანი ზარბაზანიც ტოგოსაც 20 აქვს და როჟესტვენსკისაც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაპონელების თითო ყუმბარა $23^{1}/_{2}$ ფუთს იწონის, რუსებისა კი $20^{1}/_{2}$ ფუთსა. მართალია, დიდ მანძილზე რუსეთის ესკადრა იაპონიისაზე უფრო ძლიერია, მაგრამ დიდ მანძილზე იქნება ბრძოლა თუ პატარაზე—როჟესტვენსკიზე არ არის დამოკიდებული, რადგან ამ შემთხვევაში ის გაიმარჯვებს, ვისი გემებიც უფრო სწრაფად დადიან (რ. ვ.).

რათ იგვიანებს ადმირალი ტოგო და რატომ არ მოდის როჟესტვენსკის დასახვედრად? ამის პასუხს „რუს. ვედ.“-ს სამხედრო მიმომხილველი ვ. მ. იძლევა.

ამის უმთავრესი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ადმირალი ტოგო მაშველ ფლოტის მოსვლას ელის. დიდი ხანია, რაც იოკოსუკსა, სასებოსა და კურეში 5 დიდი კრეისერი შენდება, მაგრამ არ იციან, მზად არის თუ არა ამჟამად ეს გემები. თუმცა ამ ორიოდე თვის წინად იუწყებოდნენ, რომ სასებოში 3 კრეისერი (თითო 12,000 ტონნისა) ჩაუშვეს ზღვაშიო, მაგრამ შეიარაღებით კი, მგონია, ჯერ ვერ შეუიარაღებიათ (დანარჩენი ორი გემი 7000 ტონნისაა).

რუსეთის სააგენტოს კორესპონდენტი ტოკიოდან დეპეშით იუწყებოდა, ვითომ პორტ-არტურსა და ჩემულპოში ჩაძირული რუსეთის გემები იაპონელებმა ამოიღეს და შეაკეთესო, მაგრამ იმას კი არ იტყობინებოდა, რამდენი და რომელი გემი ამოუღიათ. პორტ-არტურში ჩაძირულ გემების ამოღება მაინც-და-მაინც ძნელი არ არის, რადგან ზემოხსენებულნი გემები მხოლოდ ნახევარზეარ იან ჩაძირულნი. პორტ-არტურის აღებიდან 4 თვემ განვლო. ეს დრო რამდენიმე ჯავშნოსნის ამოსაღებად და შესაკეთებლად საკმარისია. ძნელი სათქმელია, მართლა მოახერხეს თუ ვერა იაპონელებმა იმ გემების ამოღება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამოღებას ცდილობდნენ. ადმირალმა ტოგომ მარტო „რეტვიზანი“ და „პერესვეტ“-იც რომ მოიშველოს, როჟესტვენსკის ესკადრის ბედი წინდა-წინვე გადაწყვეტილია: ტოგოს ისეთი ესკადრა შეუდგება, რომ რუსეთის ფლოტს ერთ თვალის დახამხამებაზე გაანადგურებს (რ. ვ.).

მარშალ ოიამას გეგმა. „დეილი ტელეგ.“-ს ატყობინებენ: ამ ახლო ხანს მარშალ ოიამას 160 ათასი კაცი მიემატება. გენერალ ხასეგავას ჯარი—100 ასი ათასი კაცი ამჟამად ჩრდილოეთისკენ მიდის და საცაა ვლადივოსტოკსაც მიუახლოვდება. როცა მეშვიდე, გენ. ნიშის ლაშქარიც გადავა მანჯურიაში, მარშალ ოიამას 600 ათასი კაცი ეყოლება და 2,000 ზარბაზანი ექნება. ერთსა და იმავე დროს ოიამა ლინევიჩს დაეცემა, ხასეგავა კი ვლადივოსტოკსა და ეცდება, ადმ. როჟესტვენსკის უკანასკნელი თავშესაფარი წაართვას (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

ქუთაისი. თოფურიას საავადმყოფოში გარდაიცვალა ამას წინად საპყრობილედან განთავისუფლებული ნოქარი კუჩავა. მიცვალებულის დასაფლავებას დღეს აპირობდნენ სოფელ [illegible]იშში, მაგრამ პოლიციამ დაასწრო [illegible] ღამის 12 საათზე, მისულა თურმე საავადმყოფოში, სტრაჟნიკების დახმარებით გვამი ჯიხაიშს წაუღია და დედმამისათვის გადაუცია. ამ ამბის გამომჟღავნებამ საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

რეალურ სასწავლებლის უკანასკნელ კლასებში გამოცდა დაიწყო. გამოცდაზე მოწაფეთა უმრავლესობა გამოცხადდა.

ახალი ამბავი

—

✦ ბორჩალოს მაზრის სამრევლო სკოლებში, **გლეხთა მოძრაობის გამო**, შეწყვეტილია სწავლა.

✦ ამ დღეებში, დაბა ბორჯომში, გამოურკვეველ მიზეზებისა გამო, **ცეცხლი გასჩენია** მის იმპერატორებით უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის **თივის ფარდულს** და სულ გადაბუგულა. ზარალი 2000 მანათამდეა.

✦ რუსის ჯარში სათადარიგოდ ჩარიცხულ პრაპორშჩიკს თავ. **გ. მაჩაბელს**, თანახმად თავის თხოვნისა, ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო საარტილერიო საწყობიდან **უფასოდ ასი ცალი ბერდანის სისტემის თოფი გამოიტანოს** თავის დასაცველად.

✦ სოფ. **ხობის მონასტერს** ღამის 2 ს. 6 შეიარაღებული კაცი თავს დასცემია. შესულან წინამძღვრის დასენაკში გამოურთმევიათ ბერდანის თოფი.

✦ გურია-სამეგრელოს ეპარქიაში **თამაკონის წმ. გიორგის ეკლესიას** შეიარაღებული **უცნობი პირები თავს დასხმიან** და საყდრის ყარაულისთვის მოუთხოვიათ ეკლესიის ფული. ყარაულს რომ უარი უთქვამს, ძალით წაუღიათ 250 მანათი და ყარაულიც დაუჭრიათ. სასულიერო უწყებამ ამის გამო საყვედური გამოუცხადა ამ ეკლესიის მღვდელს, რომელიც ეკლესიის ფულს ყარაულის ხელში აგდებსო.

✦ **მარტყოფელ** (ტფილისის მაზრა) **გლეხებს** ამ დღეებში შეტაკება მოსვლიათ სადაო მიწის გამო თაქლელ გლეხებთან: შეტაკების დროს მომკვდარა ერთი თაქლელი თათარი.

✦ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, **გლეხთა მოძრაობის მიზეზთა გამოსაკვლევად** დიდ-თიანეთში იგზავნება ტფილისის მაზრის მომრიგებელი შუამავალი თავ. ჩოლოყაშვილი.

✦ ქართლ-კახეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურე ოდოევი სარევიზიოდ ყოფილა ტფილისის მაზრის ბერძენთა სკოლებში და იმ სკოლის მასწავლებელთათვის, სადაც მარტო ბერძნები სწავლობენ, **რუსულ ენის სახელმძღვანელოდ დაუვალებია** შელცელის მიერ მუნჯურ მეთოდზე შემდგარი სახელმძღვანელო, ნაცვლად იმ სახელმძღვანელოსი, რომელსაც დღემდე ათონიდან იღებდნენ. შელცელის სახელმძღვანელოსთან ერთად დაუვალებია სურათებიანი წიგნი „ჟივოე სლოვო“ დევრიენისა. მასწავლებლებს უპასუხნიათ: ძნელი იქნება წმინდა

ფელეტონი

მოლოდინში.

შენ, ვერხვო, რასა შრიალებ,
ნეტა რას მეჩურჩულები?
ნუ ამიშალე ნაღველი,
ნუ ამიშალე წყლულები!
გარშემო ველი გარტყია,
ყვავილს უქარგავს ლამაზსა!
კორდიდან წყარო გადმოდის,
პირსა ჰბანს ზურმუხტ ბალახსა!
მაგრამ არ იცი სხვა მდელო,
სადაც ეკალი სთესია,
იქ მხოლოდ ცრემლი იღვრება
და ბევრ გულს დაუკვნესია!
ეჰ, ვერხვო, რასა შრიალებ,
ნეტა რას მეჩურჩულები?
ნუ ამიშალე ნაღველი,
ნუ ამიშალე წყლულები!

—

შეჰხარი ცბიერს გაზაფხულს,
ხან მცინარს, ხანაც მოღუშულს,
ნიავი კაბას გინაკვთავს,
ნამსაც სიგრილე არა შურს;
მაგრამ რა იცი, ჩემთვისა
სად არი გაზაფხულია?
ნუ აშრიალებ ტოტებსა,
ნუ ამიშალე წყლულია!
მე გაზაფხული იქა მაქვს,
სადაც რკინა და ჯაჭვია,
სად ამართულა საკანი...
მას ბევრი დაუტანჯია!
ჩემი ყვავილი იქ არი,
არ გადაშლილა ლამაზი
და მეც ვიმღერებ მაშინა,
როცა ფრთას გაშლის გავაზი!*)
მანამდისინ კი, დე, ცრემლმა
მდელო მინამოს ნამათა,
დე, შეიმოსოს ეს დილა
სამგლოვიაროდ, შავათა!
სხვა დილა გამითენდება,
სისხლის ფრად შეიღებება,
მაგრამ მის მორწყულს მდელოზე
ყვავილი ამოფეთქდება!
მე იმას ველი, იმის ბუკს,
ველი, ვერ მომითმენია,
რა ვუყოთ, თუ კი უმსხვერპლოდ
ღამეს ვერ გაუთენია!
ეჰ, ვერხვო, რასა 'შრიალებ,
ნეტა რას მეჩურჩულები?
ამ მოლოდინში შენ მეტად
უფრო აშალე წყლულები!

ი. ევდოშვილი.

ქუჩაში...

(ესკიზი)

...სწორედ მეორედ მოსვლის ნიშნებია! ძმა ძმას აღარ ინდობს, შვილი—მამას, უფროსი—უმცროს, დიდი—პატარას... გაგონილა, თქმულა ასეთი ამბავი? ტყუილად არ არის ნათქვამი „აღსდგეს ნათესავნი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა-ო!“ შემომჩივლა ერთმა ჩემმა ყოფილმა ამხანაგმა, ახლა კი გალოთებულმა დიაკონმა კირილემ.

ეს ამბავი მოხდა ტფილისის ერთ მიყრუებულ ქუჩაში, ფილაქანზე.

— არ გაგიშვებ, მამაშვილობამ! მინდა დაგიმტკიცო, რომ მეც ადამიანი ვარ, მეც ღვაწლი მიმიძღვის!.. აღარ ისვენებდა კირილე.

დიაკონი ცოტა გადაკრულში გახლდათ, აღელვება ეტყობოდა და, რადგანაც ერთ დროს ერთად ვსწავლობდით, ძლიერაც გამითამამდა.

— დიახ, უნდა მომისმინო და ამიხსნა, რისთვის გამომაძევა სოფელმა, რა დავაშავე? მკვდარს თავისს დროზე ვერა ვმარხავდით, ბავშვებს ვერა ვნათლავდით, ვერა ვწირავდით და ვლოცავდით, თუ ღვინოს ვერა ვსვამდით? მითხარ ერთი, თუ ღმერთი გიყვარს!..

მე არც დრო მქონდა და არც თავი მასთან ლაპარაკისა და მოკლედ მოვუჭერ ხუცური სიტყვებით:

— რომლითა საწყაულითა მიუწყავთ, მოგეწყოთ თქვენ,—ხომ გაგიგონიათ-მეთქი.

— კარგი, მაგრამ, ე ქვეყანა რომ ინგრევა!.. ვის გაუგონია ასეთი ამბები? კიდევ დამეკითხა კირილე და ხარივით დამიბღვირა.

— „ოდეს გესმოდენ ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე პირველად ყოფად!“—უნდა დამემშვიდებინა კირილე და თან განზე ვიხედებოდი—ნეტა როდის მომეცლება მეთქი.

— მაშ შენც ეგრე? შენც მამტყუნებ? შენც ხომ მღვდლად ემზადებოდი, მაგრამ სემინარიიდან კუკუ ამოგკრეს და ვეღარ ეღირსე... შენ ვიღას დასცინი, შვილო!!

— მე არ დაგცინი, მე მინდა მოგაგონო, რომ სამღვთო წერილში ნათქვამია: საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენა-ო.

— შენ კი დიდ საქმეს აკეთებ, შენმა სიცოცხლემ!—დაიწყო წყრომით კირილემ,—მთელი დღე დარეტიანებული ინდოურივით დახეტიალობ, გულჩახვეული ჰფიქრობ ათას ეშმაკობაზე და ხალხს აზავთებ. ერთხელ ხომ გაჩვენეს ვირის აბანო! აღარ გაჩერდები?...

მე მხრები ავიწიე.

— რომ იცოდე, როგორ მებრალებოდი. ორჯერ-სამჯერ ნაწილიც კი ამოვაღებინე—აღდეგრძელე-მეთქი, ღმერთო, მონა შენი დაუდეგარი—ტიმოთე!.. გესმის, შენისთანა ცოდვილისათვის ღმერთიც კი შევაწუხე? ნუღნუღებდა კირილე და ფეხებს აბაკუნებდა.

— გმადლობ, მაგრამ რა გინდა? თავს აღარ დამანებებ? ღიმილით ვუთხარი და კვლავ წამოსვლა დავაპირე.

— არ შეიძლება,—გადამეღობა ისევ წინ,—მე შენთან ლაპარაკი მწყურია, რაც სასწავლებლიდან გამოგაგდეს, აღარ მინახიხარ. მინდა გეუბედო... ამასთან ძალიან გაჯავრებულიცა ვარ...

— ღმერთი ილოცე მეთქი! ვანუგეშე კირილე.

— ღმერთი გაჯავრებულია, შვილო, ღმერთი გამწყრალია! ნაღვლიანად სთქვა დიაკონმა და მწარედ ამოიოხრა.

მე გამეცინა.

— გაიცინე, გაიცინე თორემ... მაგრამ ან კი რა გელაპარაკო... აქაოდა გაზეთებში ვწერო, შენი თავი დიდი ვინმე გგონია. განა მე კი არ ვიყავ შვილოსან, ერთ დროს მწერალი. ჩემისთანა მოამბე სანთლით არ მოიძებნებოდა,—გადააბრუნა სიტყვა კირილემ, ალბად იმიტომ, რომ მოუთმენლობა შემატყო. მერე ჩაახველა და ჩაფიქრდა: რაღაცას იგონებდა.

ვიდრე ის მოიგონებდა რასმე, თვალ-წინ დამეხატა მისი წარსული.

ის იყო ერთი რაღაც უნიადაგო არსება, ერთი იმათგანი, რომელსაც ცხოვრების მიზნად გაუხდია თბილი ბუხარი, ლამაზი ცოლი, კარგი მზითევი, წითელი ნუნუა და გრძელი კაბა-ანაფორა.

— დიახ, ერთ დროს მეც ვთანამშრომლობდი გაზეთში—დაარღვია სიჩუმე კირილემ—მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. დრო მშვიდი, წყნარი, თავაზიანი, ზრდილობიანი. ყველა ერთი მეორეს მოწიწებით შეჰყურებდა. მაშინ არც დასობანა იყო, არც სოციალ-დემოკრატობა, არც მძიმე-მძიმე ბაასი, არც მიმართულება და არც ზახრუმალა. მაშინ სულ ჩვენები თანამშრომლობდნენ: სამასამდე ქართველი მღვდელი, ორი ამდენი დიაკონი, ოთხი პრისტავი, სამი მაზრის უფროსი, თოთხმეტი გოროდოვოი და ოცი მეეზოვე. არა, უკაცრავად, მეეზოვენი მაშინ არ იყვნენ—ოცი დესეტნიკი უნდა მეთქვა. ახლა გაუწყრათ ღმერთი ჩვენ მეგაზეთეებს, რედაქციაში აღარ გვიშვებენ, თორემ წინად რედაქციაში რომ შემოსულიყავი, კარიდორში ოცდა ათი ანაფორა მაინც ეკიდა. ეჰ! წარვიდნენ დრონი ნეტარნი, დაგვიბრიყვეთ, შვილო, და ეს არის!...

აღარ ათავებდა კირილე. ცოტა კიდევ და მე აღარ მოვუსმენდი, მაგრამ ამ დროს გამოიარა ერთმა ლამაზად გამოწყობილმა კაცმა და. . მოხდა ის, რასაც არც მე და არც კირილე, არ მოველოდით. . .

ყმაწვილმა კაცმა აღმაცერად შეხედა დიაკონს, მერე დაიღრიჯა, დასწვდა ქვას, ზედ დააფურთხა და გადააბრუნა...

დიაკონს ნაცრის ფერი დაედო. გაფთრებული მივარდა ახალგაზდა კაცს, სწვდა საყელოში და მორთო ყვირილი.

— გოროდოვოი, დვორნიკ! დაიჭით, ამან შეურაცმყო... აი, 'შე არამზადავ! მოვა დრო, რომ ჩვენ ისევე პატივცემულნი შევიქნებით, როგორც წინად ვიყავით! ყვიროდა დიაკონი და თან ილანძღებოდა.

ახალგაზდა კაცი დაცინვით უყურებდა მიწასთან ასწორებდა და თან განთავისუფლებას სცდილობდა.

ასტყდა ხმაურობა. აქეთ-იქიდან მოისმა გოროდოვოების ჭყრიალის ხმები, უსაქმური ხალხი ჩვენსკენ მორბოდა. ერთი თვალის დახამხამებაზე მთელი ქუჩა ხალხით გაივსო. ვინ რას ამბობდა, ვინ რას ყვიროდა, აღარა ისმოდარა...

მე ვისარგებლე ამ არეულობით და მოვკურცხლე რედაქციისკენ· ახალი ამბავი მიმქონდა, რასაც, იმედია, მკითხველი სიმხდალედ არ ჩამომართმევს...

ია ეკალაძე

ქრთამმა გასჭრა

(არაკი)

ცხოვრობდა შაისევანში მდიდარი ჰაჯი. ჰქონდა მას აუარებელი სარჩო-საბადებელი: უთვალავი ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი. მწვანე, ფართო და თვალ-გადუწვდენელ მობიბინე ველ-მინდვრებზე საამურად გაშლილიყო მისი ცხვრის ფარები. მარდნი ბედაურნი, სხვადასხვა ჯიშის ცხენები და საქონელი დახტოდნენ და სძოვდნენ აბრეშუმივით მბზინავ ნოყიერ ბალახს.

მწყემსნი სალამურის სტვენით ატკბობდნენ და ამკობდნენ ბუნების სიუხვეს, სიკეკლუცეს თითქო სხვის ქონებით ამაყობენო, თითქო მათი თვალი და გული სხვის სიმდიდრით გამაძღარაო, თავის თავზე ზრუნვა დავიწყებოდათ. მდიდრის სარჩოს მათი მეოხებით დღითი-დღე ემატებოდა და იზრდებოდა. ცხოვრებით მაძღარი, ყოველის ფრით კმაყოფილი და გალაღებულ-ჩასუქებული მდიდარი არას დროს არა ზრუნავდა თავის მწყემსების მომავალზე და მათ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობაზე. მწყემსნი კი დამონავებულნი ემსახურებოდნენ და ასრულებდნენ ყოველსავე მის ბძანებას და განკარგულებას. მდიდრისათვის საკმარისი იყო მცირეოდენი შეცდომა რომელიმე მწყემსისა, რომ იგი მოთმინებიდან გამოეყვანა, მწყემსი შინიდან გაეძევებინა და გზა ეჩვენებინა.

ამ მდიდარ ჰაჯის ჰყავდა ერთი ძაღლი, რომელიც თავის სიმდიდრესთან ერთად შეეძინა. ძაღლი ფრიად ერთგული იყო მდიდრისა: მის თვალს ძილი არ მოსდიოდა, რომ ამით არ ესარგებლა ბოროტ ხელს, ანუ ნადირს და არაფერი დაეკლო მდიდრის ქონებისათვის. მდიდარს ისე უყვარდა ძაღლი, როგორც თავისი თავი და არაფერზე არ გასცვლიდა. მაგრამ დედა-მიწის ზურგზე უცვლელი არა არის-რა: მდიდარიც ერთ დღეს გამოეთხოვა თავის საუნჯეს, თავისს ერთგულ მეგობარს ძაღლს. მან ნახა იგი უსულოდ გდებული. ყელზე ძვალი დასდგომოდა და დამხრჩვალიყო. ამგვარმა მოულოდნელმა უბედურობამ თავზარი დასცა მდიდარს და დიდ მწუხარებაში ჩააგდო. მოუხმო მან თავის მხლებლებს და უბძანა: „დაემარხათ ძაღლი იმ პატივით, როგორც მარხავენ ყოველ პატივცემულ, ღირსეულ პირებს. შეესუდრათ მისი გვამი ძვირფასი ქსოვილებით, გაემართათ „ხეირათები“ (ქელეხები), გაეძღოთ მშიერნი და შეემოსათ ტიტველნი. სამი დღე და ღამე მოლას მის საფლავზე ყორანი უნდა ეკითხა. აღსრულდა ყოველივე ბძანება მდიდრისა. მიწას ძაღლი პატივითა და დიდებით მიაბარეს.

ამ ამბავმა მიაღწია ყადის ყურამდე, ყადი ისე გაფთრდა და განრისხდა, რომ სიბრაზით ტანსაცმელი ზედ შემოიხია და თოვლივით თეთრი წვერ-ულვაში იგლიჯა.

— ოხ უწმინდურნო, რჯულის მგმობელნო,—წარმოსთქვა ყადიმ განრისხებით,—ვინც შეღახეთ, შეაგინეთ და წასცხეთ ჩირქი ღვთის ერთად-ერთი მოციქულს მაჰმადსა, განა ღირსნი არა ხართ სიკვდილით დასჯისა, როგორ გაბედეთ ძაღლის საფლავზე წაკითხვა წმ. ყორანისა?

რომ ღირსეულად დაესაჯა და შეეჩვენებინა, როგორც მდიდარი ჰაჯი, ისე მოლა, ყადიმ უბძანა შეეკაზმათ მისთვის ცხენი. აღელვებული ყადი გაუდგა გზას. მდიდარს აცნობეს ყადის მობძანება. მდიდარმა უბძანა აერჩიათ ცხვრის ფარაში ოცდა ათი ერკემალი და მისთვის მიერთმიათ. მდიდარი გამოეგება ყადის მისაგებებლად და, რა დაინახა იგი, მის წინ დაემხო და მწარედ ქვითინი დაიწყო:

— ჰოი, დიდებულო იმამო, ბურჯო და მცველო ჩვენის წმ. სარწმუნოებისაო, მოისმინე მწუ-

---

*) გავაზი—ფრინველია.

ბერძნულ სკოლებში ახლავ ამ სახელმძღვანელოების შემოღებაო.

✦ ტფილისის **ქალაქის გამგეობამ**, თანახმად საგუბერნიო გამგეობის მოთხოვნილებისა, **დაადგინა** ეცნობოს გამგეობას, რომ სოფ. მამუკის გლეხთა მიერ მიწის ნაჭრების მითვისების შესახებ საგანგებო ზომების მიღება საჭირო არ არისო.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე ბ-ნი **სულთან კრიმ-გირეი და ბ-ნი ტროფიმოვი ტფილისში ხვალ ჩამოვლენ.**

კავკასიის ნამესტნიკის ჩამოსვლა ტფილისში **იმიტომ დაგვიანდა**, რომ აქამდის სანამესტნიკოს მოხელეთა შტატს ადგენდნენ. თავ. გოლიცინის დროინდელ მოხელეთაგან სანამესტნიკოში ძალიან ცოტა რჩება (ნოვ.).

✦ გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზე, ბ-ნ მიცკევიჩის **თავმჯდომარეობით პირველი კრება ჰქონდა** იმ კომისიას, რომელმაც კავკასიის ნამესტნიკის შეხვედრის წესრიგი უნდა შეიმუშაოს. კრებას დაესწრნენ: ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი ალიშოვსკი, ჟანდარმთა უფროსი სოლოვიოვი, ქალაქის მოურავი ვემიშევი და სხ.

✦ გუშინ, 27 აპრილს, ტფილისის სადეპუტატო საკრებულოში **თავად-აზნაურთ კერძო თათბირი ჰქონდათ** და გადასწყვიტეს—აგრარიულ მოძრაობის მიზეზთა გამოსაკვლევად მოწვეულ იქმნას მაზრის წინამძღოლთა კრება.

✦ ბინების სიძვირისა გამო, **ტფილისელ მდგმურთა ერთმა ჯგუფმა სთხოვა ქალაქის** მოურავს საბჭოს მიერ შემუშავებულ იქმნას ბინის ქირების ნიხრი. ნიხრი დაწესდეს იმის მიხედვით, თუ რამდენი კუბიკური საჟენი ჰაერია თითოეულ ოთახში.

✦ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის დიმიტრის მიერ ხელმოწერილი რაპორტი მოვიდა სოფ. ბოხვაურის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის ეპიფანე კალანდარიშვილის მღვდლობიდან გადაყენების შესახებ.

✦ როგორც ვიცით, ხელმწიფე მემკვიდრის დაბადებისა გამო, ტფილისის გამგეობამ დაადგინა 20 ათასი მანათით შემწეობა აღმოუჩინოს ქალაქის უღარიბესს მცხოვრებთ. ამ რიცხვში, დამფასებელ კამისიას 420 **უღარიბესს სახლის პატრონთათვის 10,905 მ. 63 კ. „ნედოიმკა“ უპატიებია.**

✦ ტფილისის **მიხეილის საავადმყოფოს დაბალი მოსამსახურენი სთხოვენ სათანადო მთავრობას**, გააუმჯობესოს მათი ყოფა-ცხოვრება, მოუმატოს ჯამაგირები, მისცეს რიგიან სასმელ-საჭმელი, ბინა და სხვა.

✦ 9 მაისს საარტისტო **საზოგადოების თეატრში საქველმოქმედო მიზნით გაიმართება ქართული ოპერა**. წარმოადგენენ ,,სევილიელ დალაქს‘‘.

✦ **კნეინა მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა შუამდგომლობს** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის გენერალ მალამას წინაშე, სამ მაისს ნება დართოს სახელმწიფო თეატრში ქართული წარმოდგენა გამართოს ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ.

✦ ,,**კავკაზსკი ლისტოკის**‘‘ რედაქტორ-გამომცემელი შუამდგომლობს კავკასიის უმაღლეს მაერობის წინაშე, ნება მიეცეს თავისს გაზეთს წლიური ფასი მოუმატოს.

✦ ქუთაისიდან დეპეშით იწერებიან, **მდინარე ყვირილას ადიდების გამო**, მის მარცხენა ნაპირზე მცხოვრებნი მარჯვენა ნაპირის მცხოვრებთ მოსწყდნენო.

✦ წარსულ კვირას, ქალაქ გორში, ქალაქის მამასახლისის ბ-ნ გრიგორაშვილის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდათ **გორში საურთიერთო საკრედიტო ბანკის დაარსების შესახებ** და დაადგინეს—ეს ბანკი დაარსდეს მომავალ წლის იანვრისათვის.

✦ **სამშაბათს, 26 აპრილს**, არტისტულ საზოგადოების დარბაზში, თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, მეორედ შესდგა მოწაფეთა მშობლების კრება. როგორც მკითხველებმა იციან, მშობლების პირველი კრება მოხდა ამას წინად საბჭოს დარბაზში და რეზოლუცია შეიმუშავეს. ეს რეზოლუცია სამშაბათს წარუდგინეს კრებას განსახილველად და ხელის მოსაწერად. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო. პირველი მოხსენება წაიკითხა ბ-მა ცვეტნიცკიმ. ამ მოხსენებიდან კრებამ ნათლად დაინახა ის უკიდურესი მდგომარეობა, გაჭირვება და შევიწროება, რომელშიაც არის ჩავარდნილი თანამედროვე სკოლის საქმე. ყოველი ფაქტი ბ-ნ ცვეტნიცკისა დასაბუთებული იყო და კრებაზე დიდი შთაბეჭდილება იქონია. საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა ბ-ნი ცვეტნიცკი. მეორე მოხსენებაში, რომელიც წაიკითხა ბ-მა ბუკშტეინმა, დასურათებული იყო უუფლებ-მოკლებული მასწავლებლის მდგომარეობა. ბევრი კამათის შემდეგ, თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, რადგან, შეიძლება, კამათი დიდხანს გაგრძელდეს და საზოგადოებამ რეზოლუციას აღარ მოუცადოს, ამიტომ ჯერ რეზოლუცია მივიღოთ, ხელი მოვაწეროთ და ეხლანდელ მდგომარეობაზე შემდეგ კიდევ ვილაპარაკოთო. ზოგიერთი ამ წინადადებას წინააღმდეგი გაუხდა, მაგრამ ხმის უმეტესობით ეს საკითხი გადასწყვიტეს, რეზოლუცია მიიღეს და ყველამ ხელი მოაწერა. დედა-აზრი რეზოლუციისა შემდეგი იყო: „ვუცხადებთ ჩვენს უკმაყოფილებას თანამედროვე სკოლის რეჟიმს და გეზამს, რომ სკოლის რეფორმები მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როდესაც რუსეთის თანამედროვე ბიუროკრატიული წეს-წყობილება მოისპობა და მის ნაცვლად გამეფდება დამფუძნებელი კრება, არჩეული საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულ კენჭის ერთიაო“. სხვათა შორის, აარჩიეს კომისია, ოცდაათი კაცისგან შემდგარი, რომელიც ამ საქმეს წინ გაუძღვება და, თუ საჭიროება მოითხოვს, მშობელთა კრებას კიდევ რამდენჯერმე მოიწვევს. კომისიაში არჩეულ იქმნენ: ან. ფურცელაძე, ი. რამიშვილი, დ. ყიფიანი, ა. ზაბოვი, მ. გედევანიშვილი, გ. ლასხიშვილი, ბ-ნი ჟურავოვსკი, ხომენტოვსკაია, მელიქ-ადამოვი, დლონტი, ჩიტაძე, ა. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ნ. ხუდადოვი და სხვანი. ამას შემდეგ კამათი გაგრძელდა ღამის 2 საათამდე.

✦ 24 აპრილს, ონანოვის სკოლის დარბაზში სომეხთა მღვდლის არსენ ბაგრატუნის **მოწაფეებმა გადაიხადეს მისი 30 წლის იუბილეი**. იუბილიარმა ამ დღეს სწირა სომეხ დედათა მონასტერში. წირვის შემდეგ აუარებელმა ხალხმა მიულოცა. სხვათა შორის იყვნენ: ტფილისის სომეხთა ეპარქიის ეპისკოპოსი, ხმოსანი ა. ს. ბაბოვი, ქალაქის მოურავი, თავ. ვლ. ს. მიქელაძე და სხვანი. წაიკითხეს სომეხთა კათალიკოსის კონდაკი და სხვა მილოცვის წერილები იუბილიარის მიმართ. თავადმა მიქელაძემ სასკოლო კომისიის სახელით მიულოცა იუბილიარს, როგორც ქალაქის სახელოსნო სკოლის მასწავლებელს. ანანოვის სკოლის მოწაფე-ქალთა ხორომ რამდენიმე სიმღერა შეასრულა. მილოცვა გათავდა ნაშუადღევის 3 საათზე, ხოლო ამის შემდეგ სადილი გაიმართა. იუბილიარმა მიიღო სხვადასხვა ძვირფასი საჩუქრები და ერთიც თავისივე სურათი მონაზონ თაირასისაგან. დასასრულ იუბილიარმა მოკლე სიტყვით მადლობა გადაუხადა მის პატივის-მცემელთ.

პოლონეთის ავტონომია და რუსეთი

მოსკოვში პოლონელები შეგროვდნენ რუსებთან მოსალაპარაკებლად პოლონეთის სხვადასხვა თანამედროვე საკითხის შესახებ. ამ კრებას დაესწრნენ რუსების პროგრესიულ მიმართულების მწერლები და ამიტომ მათი ნალაპარაკევი და მათი აზრი პოლონეთის შესახებ საინტერესოა იმათთვის, ვისაც უნდა გაიგოს მათი შეხედულება რუსეთის მომავალ წეს-წყობილებისა და ეროვნულ საკითხის შესახებ.

ლ. პანტელეევი ამტკიცებდა, პოლონელები ვერ შეურიგდებიან ცენტრალურ კონსტიტუციას, რომ მათთვის საჭიროა ავტონომია, რუსეთში უნდა იყოს სხვადასხვა ავტონომიურ ნაწილების ფედერაციაო.

ფ. როდიჩევი და ფ. კოკოშკინი ამბობდნენ: არ შეგვიძლიან პოლონელთა საკითხი შემოვიტანოთ ჩვენს სამოქმედო პროგრამაშიო, ვინაიდან რუსეთში ყველანი ერთნაირად არ უყურებენ ამ საქმეს და, შეიძლება, პოლონელთა გამო თვით რუსებში შემოვიდესო განხეთქილება. პოლონელებს თუ მიენიჭათ ავტონომია, ამ თავითვე უნდა იყოსო დაწვრილებით გამორკვეული, თუ რა და რა უფლება ექმნება პოლონელთა საკანონმდებლო კრებულს შემდეგში.

— წინად გვეშინოდა, პოლონელები რუსეთს ჩამოშორდებიან, ცალკე, დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითხოვენო. ახლა ვიცით, რომ ასეთი ეჭვი უსაფუძვლოა. პოლონელებს უნდათ მხოლოდ ავტონომია და ამიტომ კონსტიტუციის მომხრე ყოველი რუსი ვალდებულია პოლონელთა საკითხი თავის პროგრამის ერთ-ერთ ნაწილად გამოაცხადოსო.

ვ. სეროშევსკი გატაცებით აცხადებდა, რომ პოლონელთა მოთხოვნილება შექმნა ცხოვრებამ და არა თეორიებმა.

— ჩვენ არ ვებრძვით რუსის ხალხს რუსეთში ან დამფუძნებელ კრების მოწვევას, მაგრამ უთუოდ დავიწყებთ ბრძოლას, თუ დავინახავთ, რომ ჩვენს სურვილებს არ ემხრობა უმეტესობა. პოლონელთა საკითხის გადაწყვეტა თვით რუსების თავისუფლებისათვის არის საჭირო, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიხდებათ ბრძოლა პოლონელებთან და ამ ბრძოლის დროს თქვენსავე თავისუფლებას დაჰკარგავთ.

ვ. ქუკოვსკის აზრით, პოლონეთის ავტონომიას თვით პოლონეთის ხალხი მოითხოვს და ამიტომ ყველა დასი იძულებულია ამავე მიმართულებას დაადგეს, თუ არ უნდა, რომ ხალხმა დასწამოს ღალატი.

ავტონომიას მიემხრო თ-დი დ. შახოვსკოი. სამაგიეროდ, ნ. შჩეპკინი ავტონომიის მოწინააღმდეგე გამოდგა,—რუსებს არ შეუძლიათ თავიანთ პროგრამაში შეიტანონო პოლონელების ავტონომია,—რუსეთის ხალხი ასეთ პროგრამას აღარ მიიღებს და საქმეც შეუსრულებელი დარჩებაო.

ა. ლედნიცკის შეხედულობით, თვითმართველობის სურვილი კანონიერია და არ შეიძლება ამ მისწრაფების დატოვება უყურადღებოდ. პოლონეთის ავტონომია თვით რუსეთის ძლიერებისთვის სასურველია, მტრების ადგილას იგი მეგობრებს შექმნის. გადაგვარების, გარუსების სისტემას არავითარი აზრი არა აქვს,—მისი ნაყოფი უმნიშვნელოა. გადაგვარების პოლიტიკას, ეროვნულ დაჩაგვრას—ეროვნული აღორძინება მოჰყვება ყველგან.

ავტონომია შეიცავს შემდეგ ძირითად უფლებებს: ადგილობრივი კანონმდებლობა, სასწავლებლები სახალხო, საშუალო და უმაღლესი, სასამართლო, ადგილობრივი გადასახადები და ადგილობრივი ფინანსები და მეურნეობა. პირიქით საერთო იქმნებაო ფინანსები, საჯარო და საერთაშორისო ხელშეკრულებანი, საერთაშორისო დამოკიდებულება, საბაჟოები და მოქალაქის ძირითად უფლებათა გარკვევა.

მ. მენდელშტამი აცხადებდა,—ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმას, თუ რას იტყვის რეაქციის მომხრე პრესაო, სულ ერთია ჩვენს გინებას მაინც არ მოიშლისო. პოლონეთის ავტონომია თვით რუსეთისთვის არის საჭირო. პოლონეთს თავისი დამფუძნებელი კრება სჭირია.

საზოგადოდ, პოლონელები იმავე უფლებას მოითხოვდნენ, რომელიც წინად ფინლიანდიას ჰქონდა მინიჭებული.

სხვებმაც ილაპარაკეს და ზოგი მიემხრო პოლონეთის ავტონომიას, ზოგი კიდევ მისი მოწინააღმდეგე გამოდგა.

ბოლოს კრებამ ასეთი რეზოლუცია მიიღო: „რუსეთის საპოლიტიკო ერთობა რომ არ დაირღვეს, საჭიროა პოლონეთის ავტონომია. რუსეთში უნდა იყოს საერთო კრება, მაგრამ პოლონეთს უნდა ჰქონდეს თავისი სეიმი, საყოველთაო, თანასწორის, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით ამორჩეული, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად“.

რუსეთი

1 მაისს, ახალის სტილით, **ვარშავში დიდი არეულობა** ყოფილა. ოფიციალურ გაზეთ «ვარ. დნ.»-ის სიტყვით, „ამ დღეს ქალაქი სულ გამოიცალა: მაღაზიები დაკეტილი იყო. ზოგს ფიცრებიც ჰქონდა აფარებული. მიმოსვლა სულ შესწყდა. მხოლოდ აქა-იქ მუშები მოსჩანდნენ. 11 საათზე ერთმა პოლიციელმა შეამჩნია, რომ ერთი კაცი პროკლამაციებს არიგებდა. პოლიციელს იმას დაჭერა უნდოდა, მაგრამ უცნობმა ორჯერ რევოლვერი ესროლა და გაიქცა. გაქცეულ ყაზარმიდან სალდათმა ესროლა თოფი და მოკლა. მოკლული ტეხნიკურ სკოლის მოწაფე აღმოჩნდა. 12 საათზე კარმელიტის ქუჩაზე 200 კაცი შეგროვდა, წითელი დროშა აუშვა და ერთი სახლის ალაყაფის კარებს დაუწყო მტვრევა. 1 საათზე 200 კაცმა მოიყარა თავი, წითელი დროშა აუშვა და სარევოლუციო სიმღერით მარშალკოვის ქუჩისაკენ წავიდა, მაგრამ გზაში ჯარს შეხვდა და რევოლვერები დაუშინა. ხალხის ერთმა ნაწილმა ალაყაფის კარები შეანგრია, სახლში შევიდა და იქიდან ისროდა, მეორე ნაწილი კი ისევ ქუჩაში დარჩა. ჯარმა ხალხს თოფები დაუშინა, 25 კაცი მოკლა და 29 დასჭრა. მძიმედ დაიჭრა უბნის ზედამხედველი პოლიციელი. $5^1/_2$ საათზე ერთ ალაგას ხალხმა ქვები დაუშინა გზად მიმავალ აფიცერსა და სტვენა დაუწყო. 6 საათზე მეორე ალაგას 300 კაცმა სამი წითელი დროშა აუშვა, მაგრამ ჯარმა მალე გაფანტა. იმავე დროს მარშალკოვის ქუჩის კუთხეში რამდენმამე ასმა კაცმა ბოჭკებისა და ტელეგრაფის ბოძებისაგან ბარიკადის გაკეთება სცადა. ჯარმა ხალხი გაფანტა, მაგრამ დემონსტრანტები ცოტა ხნის შემდეგ ისევ შეიკრიბნენ. ჯარმა ხელმეორედ გაფანტა. 7 საათზე დელნის ქუჩაზე ისევ შეიკრიბა რამდენიმე ასი კაცი, მაგრამ ჯარმა გაფანტა. იმავე დროს მეორე და მესამე ალაგასაც შეიკრიბნენ დემონსტრანტები, მაგრამ ცხენოსნების მიერ გაფანტულ იქმნენ. 9 საათზე ვენის სადგურთან უცნობმა კაზაკებს ყუმბარა ესროლა. მძიმედ დაიჭრა 3 კაზაკი, 2 პოლიციელი და 2 ქალი. სამი ცხენი დაიღუპა. ყუმბარამ ისე ძლიერ იფეთქა, რომ იმის ხმა მთელ ქალაქში გაისმა, ახლო-მახლო სახლებში შუშები დაიმსხვრა. ერთი ცხენის თავი მეორე ქუჩაზე იპოვეს. ღამის 10 საათზე ზომბოვის ქუჩაზე აუარებელი ხალხი შეიკრიბა და სალდათებს რევოლვერები დაუშინა. სალდათებმაც თოფები დაუშინეს და 4 კაცი მოკლეს. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ ჯარმა 31 კაცი მოკლა. დაჭრილთა რიცხვი არ იციან“.

მეორე დღეს სოციალისტებმა ყველას მაღაზიები დააკეტინეს, არც ერთი ეტლი ქუჩაში არ გაუშვეს და თეატრები დაკეტეს. იმავე დღეს რკინის გზის სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ. (რ. ვ.).

✦ 18 აპრილს ლოძში არეულობის დროს **8 კაცი დაიჭრა** (პ. ს.).

✦ ამავე დღეს **კალიშშიაც დიდი არეულობა მომხდარა**. დილით ხალხი ქალაქის ნაპირას გასულა და იქ დღობაში წირვა მოუსმენია. ხალხმა (4000 კაცი იყო) ჯერ რევოლვერების სროლა დაიწყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისევ ეკლესიაში დაბრუნდა. ეკლესიის კარებთან კათოლიკეთა მღვდელი იდგა და ხალხს უქადაგებდა, არეულობას ნუ მოახდენთო. ხალხმა ყვირილი დაიწყო: «ყურს ნუ უგდებთ! მაგას არაფერი ესმის! ყურს ნუ უგდებთ»!. წირვის შემდეგ ზოგი წავიდა, ზოგი კი იქვე მახლობელ რესტორანისკენ გაემართა. ჟანდარმები და სტრაჟნიკებიც ამ ჯგუფს გაჰყვა. ხალხი მოუბრუნდა და პოლიციას თავს დაეცა. დაიჭრა ორი სტრაჟნიკი, სცემეს რამდენსამე ჟანდარმს. ხალხმა პოლიციელებს იარაღი წაართვა და თავი მიანება.

ხარება შენი მონისა და ფეხის მტვრისა: მომიკვდა ჩემი ძაღლი, აღარა მყავს ჩემი მფარველი და ერთგული მეგობარი, ის იყო ისეთივე კეთილი და გონიერი, როგორც ყოველივე პატიოსანი მუსულმანი. მეტად უყვარდა ჩვენი სასულიერო პირები: ყადები, ეფენდები, მოლები და ჰაჯები. იქამდის გულკეთილი და პატივისმცემელი იყო თქვენი, რომ სულის ამოსვლის დროსაც კი არ დაგივიწყათ და ეს ოცდა ათი ერკემალი გიანდერძათ,—მიუთითა მდიდარმა მსუქან ერკემლებზე.

ყადის სიხარულით თავბრუ დაესხა და არ იცოდა რა ეპასუხნა მდიდრისათვის.

— ოხ, ნუ სთვლი მას ძაღლად, უწოდე მას ჩემი ძმა, ჩემი მეგობარი, მე თითონ წავალ და წავიკითხავ წმ. ყორანს მის საფლავზე. იგი ღირსია პატივისცემისა და შენდობისა,—წარმოსთქვა მოულოდნელის საჩუქრით გახარებულმა ყადმა.

ლიახვისპირელი

ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებანი.

ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებებზე ყოველი ადამიანი ლაპარაკობს ამჟამად რუსეთში.

ჯერ ხომ რუსეთის სხვადასხვა კუთხეში ასახელებდნენ სხვადასხვა უფლებას, რომელიც ცხოვრებისთვის მიაჩნდათ საჭიროდ, მერე მოუყარეს თავი ყველა უფლებას, მათში უმთავრესი, ძირითადი უფლებანი გამოარკვიეს და ახლა ყველა, დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, ერთხმად და ერთობით, ათასნაირ პეტიცია-რეზოლუციებით, ამ ძირითად უფლებათა განხორციელებას მოითხოვს მთავრობისაგან.

ეს ძირითადი უფლება ორ ჯგუფად შეიძლება გაჰყოს ადამიანმა. ერთია—ადამიანის დაცვის უფლება, მეორე კიდევ—უფლება თავისუფლებისა.

სახელმწიფოს სხვადასხვა მოხელეს ევალება სახელმწიფოში მყოფ ხალხის კერძო ცხოვრებაში არ გაერიოს. ეს კერძო ცხოვრება ხელუხლებელი უნდა რჩებოდეს ყოველთვის უთუოდ. ამისთვის არის საჭირო პირადობის, კერძო სადგომის ხელუხლებლობა, მიწერ-მოწერის საიდუმლოების შენახვა,—კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველასი თანასწორობა.

მეორეს მხრივ, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ვალდებულებას მოითმინოს მცხოვრებთა ზოგიერთი მოქმედება და განსაზღვრულ ფარგალში სრულ თავისუფლებას ანიჭებს ყველას. კერძო პირთა მოქმედება, მათი შეერთება, შეკავშირება საერთო მიზნების მისაღწევად, მათი საერთო მოქმედება—ყველაფერი უნდა იყოს თავისუფალი. თავისუფალი უნდა იყოს მიმოსვლა, საცხოვრებელ წყაროს აღმოჩენა ადამიანისაგან, უნდა შემოვიდეს სამეცნიერო რწმენის თავისუფლება, სარწმუნოების, აზრის თავისუფლება, დაქორწინების, კრებების, შეკავშირების თავისუფლება.

ამ უფლებების განსაზღვრაც უთუოდ საჭიროა, შეიძლება, რასაკვირველია, თვით ხალხის ცხოვრებამ წამოაყენოს მათი საზღვარი, შეიძლება ჩვეულებამ გაარკვიოს, თუ რანაირი ან რამდენად სრული უნდა იყოს რომელსამე საქმეში ადამიანის თავისუფლება, შეიძლება მთავრობაც თავის მოქმედებაში ჩვეულებას ემორჩილებოდეს, მაგრამ უფრო ხშირად ასეთი დამორჩილება საკმარისად მიჩნეული არ არის.

საჭიროა არის გარანტიები იმისი, რომ ერთხელვე გამოცხადებული უფლება მართლაც აღარ შეიქმნება დარღვეული არავისაგან, რომ თვით სახელმწიფოს მთავრობა თავისთვის სავალდებულოდ მიიჩნევს მოქალაქეთა უფლების პატივისცემას.

ამისი გარანტიები შესაძლო არის მხოლოდ საკონსტიტუციო სახელმწიფოში.

საკონსტიტუციო სახელმწიფოებში კი მოქალაქეთა ყველა უფლება კონსტიტუციაში ჩამოთვლილია.

კონსტიტუცია სახელმწიფოსთვის თითქმის იგივეა, რაც კერძო ამხანაგობისთვის წესდება. როგორც წესდება, კონსტიტუცია მთავრობის მოქმედებას განსაზღვრავს და შეუძლებლად ხდის მოქალაქეთა უფლების დარღვევას.

შეუძლებლად ხდის იმიტომ, რომ ხალხს, კონსტიტუციის ძალით, ეძლევა მონაწილეობა კანონმდებლობაში, რომ ხალხია ახალ კანონების გამომცემი, რომ ხალხის წინაშე, მის წარმომადგენელთა წინაშე, პასუხის-მგებელია თვით უმაღლესი მთავრობა იმაში, რომ წესიერად შეასრულებს, როგორც კონსტიტუციაში ჩამოთვლილ კანონებს, ისე იმ კანონებსაც, რომელსაც შემდეგ შეიმუშავებენ ხალხის წარმომადგენლები საერო კრებაში.

ადმინისტრაციას საკონსტიტუციო სახელმწიფოებში ერთმევა უფლება იბატონოს ადამიანზე. ადამიანის ყოველი დანაშაული უნდა განიხილოს სასამართლომ, და იმისთვის, რომ ამ სასამართლომაც ვერ მოახერხოს თავის ნებაზე გაიგოს ადამიანის სხვადასხვა ძირითადი უფლება, ყოველი ახალი კანონი იწერება გარკვეულად და მკაფიოდ.

ძველად, ძველ დროის სახელმწიფოებში, მოქალაქეთა ძირითად უფლებების ხსენება საზოგადოდ არ იყო.

მართალია, იქ ადამიანს ხშირად დიდი საპოლიტიკო უფლებანი ჰქონდა მინიჭებული, მართალია, იქ მოქალაქე ხშირად იყო თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობისაგან, მაგრამ არ იყო გარკვეულად გამოცხადებული, რომ ადამიანის ზოგიერთი უფლება მთავრობისაგან, სახელმწიფოსგან უნდა იყოს ხელუხლებელი.

ამ უფლებებზე ლაპარაკი შეიძლებოდა მხოლოდ იქ, სადაც, ხალხის შეხედულობით, მთავრობა, სახელმწიფოს მმართველი, ხალხის ბატონი იყო, მისი მოწინააღმდეგე, სადაც მთავრობასა და ხალხს ერთმანეთში არა ჰქონდა არავითარი ერთობა.

ამნაირ შემთხვევაში ხალხი, რასაკვირველია, ცდილობდა მორიგებოდა მთავრობას, მოეთხოვა მისგან ხალხის ზოგიერთ ძირითად უფლების აღიარება და გამოცხადება.

როდესაც მთავრობა ან მისი მოხელეები არ ღვევდნენ უფლებებს, რომელიც, ხალხის შეხედულობით, მთავრობისგან უნდა ყოფილიყო ხელუხლებელი, ხალხი ცდილობდა დაებრუნებინა დაკარგული უფლება და, როდესაც მოახერხებდა, აიძულებდა ხოლმე მთავრობას გარკვეულად და საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ ამიერიდან ეს უფლება დარჩებოდა ხელუხლებელი.

ამნაირად წარმოსდგა, მაგ., ის რამოდენიმე კანონი, რომელიც არკვევს მოქალაქეთა უფლებას ინგლისში. ეს არის Magna charta libertatum, 1215 წ., petition of rights, 1627 წ., Habeas Corpus Act, 1679 წ. და სხვა.

საფრანგეთის დიდ რევოლუციის დროს, როდესაც ადამიანი განთავისუფლდა თვითმპყრობელ მეფის ბატონობისაგან, ხალხმა მოისურვა გამოერკვია თავისი ახლად მიღებული საპოლიტიკო უფლება და, ლაფაიეტის წინადადებით, 1789 წ. შეიმუშავა Déclaration des droits de l'homme et du citoyen. ეს დეკლარაცია შემდეგ საფრანგეთის კონსტიტუციაში იყო მოთავსებული, ცოტაოდნად შეცვლილი და შევსებულიც.

ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებშიაც, სადაც საკონსტიტუციო წესწყობილება შემოვიდა, კონსტიტუციებში მოათავსებდნენ ხოლმე ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა ჩამოთვლას.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამნაირი ჩამოთვლა ზედმეტი ჰგონიათ. უფლებათა უბრალო ჩამოთვლას არ შეუძლიან უზრუნველჰყოს მათ შესრულება მთავრობისაგან.

ამიტომ ახლა ცდილობენ უფლებათა, უბრალო ჩამოთვლის მაგიერად, იქონიონ საზოგადოდ გარკვეული და შემუშავებული კანონმდებლობა, ამ უფლებაზე აშენებული.

ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლებანი სავალდებულო არის ყველასათვის. ვინმემ თუ დაარღვია ასეთი უფლება, მთავრობამ თვითონ უნდა დასაჯოს დამნაშავე, იმისდა მიუხედავად, ითხოვს მის დასჯას ვინმე თუ არა.

როდესაც მთავრობის მოსამსახურე არღვევს კერძო სადგომის ხელუხლებლობას და სახლის გასაჩხრეკად შემოდის ჩემთან, როდესაც ფოსტაში წერილებს ხსნიან და გახსნილ კონვერტებს მაძლევენ ხელში, როდესაც პოლიციელი მაყენებს, შეურაცხყოფას როდესაც ადმინისტრაციის წესით მასამართლებენ, როდესაც მისპობენ თავისუფლებას,—მთავრობამ ჩემ საჩივარს აღარ უნდა უცადოს, მთავრობა ვალდებულია თვითონ გამოიძიოს საქმის გარემოება და დასაჯოს ბოროტმოქმედი, ვინაიდან უდიდესი ბოროტმოქმედება არის ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა დარღვევა.

მაგრამ საფიქრებელია ისეთი შემთხვევაც, რომ მთავრობა არ შეასრულებს თავის მოვალეობას და გულგრილად შეხედავს სახელმწიფოში გაბატონებულ ადმინისტრაციის ძალმომრეობას.

შეიძლება თვით მთავრობაც ცდილობდეს მოქალაქის დაჩაგვრას და თვითონ უსპობდეს თავისუფლებას.

რომელმა ძალამ უნდა შეაჩეროს ძალმომრეობა?

მთავრობა არსებობს ხალხისთვის. ამიტომ მისს მოქმედებას წინ ხალხის კეთილდღეობა უნდა მიუძღოდეს ყოველთვის. მთავრობის უფლებაც ამ მხრივ არ არის, და არც უნდა იყოს განუსაზღვრელი.

სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხის დაჩაგვრა, მის უფლებათა დარღვევა, კერძო ინიციატივისა და საერთო თავისუფლების მოსპობა ბოლოს და ბოლოს თვით მთავრობისთვის არის საშიში.

თავისუფლების მოსპობას მოჰყვება უთუოდ ხალხის გაღარიბება,—მონობაში ძალა-დაბნეულ საზოგადოებას არ შეუძლია მიაღწიოს ქონებრივ კეთილდღეობამდე.

მეორე მხრივ. მთავრობისაგან ხალხის დაჩაგვრას მოჰყვება ადვილად თვით სახელმწიფო წეს-წყობილების დარღვევაც. ეს წეს-წყობილება ხალხის თანხმობაზეა აშენებული, ამ წეს-წყობილებას ამაგრებს საერთო რწმენა, რომ სახელმწიფოში უფრო კარგად იქმნება მისი ძირითადი უფლებანი დაცული, რომ მისი თავისუფლება აქ ყველასაგან ხელუხლებელი დარჩება.

მთავრობას ამაგრებს ხალხის უმეტესობის თანხმობა. და იქ, სადაც ისპობა თანხმობა, სადაც ხალხის უმეტესობა აშკარად ეწინააღმდეგება მთავრობას და მის გადადგომას მოითხოვს, იქ ამ მთავრობას საფუძველი ეცლება და არსებობაც ესპობა ადვილად.

იქ, სადაც ხალხი ჯერ განუვითარებელია, მის თანხმობას, მის შეხედულებას მთავრობისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ერთი გროვა ჯარი წინად მორჩილებაში ადვილად აჩერებდა ხალხის უმეტესობას.

ამიტომ განუვითარებელ ქვეყნებში ყველგან შეგვხვდება სრულ-უფლებიანი მეფეები, ყველგან ხალხი დამონებული, და ადამიანის კერძო ცხოვრებასაც მუდამ თვალყურს ადევნებენ მთავრობის მოხელეები.

ამიტომ იქ ყოველთვის შესაძლო ხდებოდა მოქალაქის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მთავრობის მიერ კონტროლი. ხალხში წოდებანი შემოდიოდა, ყოველ წოდებას განსაზღვრული მოვალეობა აწვა შესასრულებლად და საპოლიტიკო თავისუფლების ნასახიც არ სჩანდა არსად.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა იქ, სადაც ხალხი უკვირდებოდა თავის მდგომარეობას. განვითარებულ ხალხში ყოველი კერძო ადამიანიც არის განვითარებული, ყველას აქვს თავის პიროვნების პატივისცემა და ყველას უნდა, რომ ეს პიროვნება სხვებისთვისაც იყოს პატივსაცემი და ხელუხლებელი. ხალხი მოითხოვს მთავრობისაგან თავისუფლებას.

მთავრობაც ამნაირ შემთხვევაში იძულებულია აასრულოს უმეტესობის სურვილი.

იქ, სადაც მთავრობა დროზე მიმხვდარა, რომ გამოფხიზლებული საზოგადოება ველარ აიტანს უწინდელ უუფლებობას, თავისუფლების, ადამიანისა და მოქალაქის ძირითად უფლებათა მოპოვებასაც ეცდება უთუოდ, და სადაც, ამიტომ, მთავრობას ნება-ყოფლობით დაუთმია ეს უფლებანი ხალხისათვის, იქ ხალხის განვითარება მშვიდობიანობის გზას არ ასცდენია.

პირიქით, მთავრობამ თუ არ ისურვა საერთო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხალხიც ადგება ბრძოლას,—ცდილობს ბრძოლით მოიპოვოს საჭირო უფლება.

ეს ბრძოლა გამოიხატება პირველად ყოველგვარ კავშირების დაარსებაში, კერძო პირები უერთდებიან ერთმანეთს საერთო მოქმედებისთვის, ხალხში მწიფდება ახალი აზრი; ერთი სურვილი იტაცებს ხალხის უმეტესობას.

და ყველგან ბოლოს ხალხი რჩება გამარჯვებული და ადამიანისა და მოქალაქის ძირითადი უფლება ფეხს იკიდებს და ძლიერდება სახელმწიფოში.

—*.

პოლიციას ჯარი მოეშველა, მაგრამ ხალხმა ჯარსაც რევოლვერები და ქვები დაუშინა. ჯარმაც პასუხი გასცა და 3 კაცი მოკლა. დაიჭრა 1 აფიცერი, რაზმის უფროსი და რამდენიმე სალდათი (რ.).

◆ 20 აპრილს ნევის ქარხანაში, რომელშიაც 10 ათასამდე კაცი მუშაობს, რაღაც ჩოჩქოლი დაიწყო. მუშებმა აქა-იქ სიტყვები წარმოსთქვეს. **ხალხმა მუშაობაზე ხელი აიღო** და „ურა“-ს ყვირილით გარეთ გამოვიდა. ამ დღეს მუშაობა არ ყოფილა (ს. ო.).

◆ კოვნოს გუბერნიაში, დაბა დუსიატაში, აღდგომის 1 დღეს **ებრაელები აიკლეს**. 2 ებრაელი მოკლეს და რამდენიმეც მძიმედ დასჭრეს. ყველა ებრაელის ქონება დაიტაცეს და გაანადგურეს (რ. ვ.).

◆ იმავე დღეს **ებრაელები მელიტოპოლშიაც** დაურბევიათ. წინა დღით სოფლებიდან გლეხები ჩამოსულან და ებრაელების ასაკლებად წინდაწინვე მომზადებულან. მეორე დღეს აკლება დაუწყიათ. ბევრი სახლი დაუწვიათ, გაუძარცვავთ და აუკლიათ. დაჭრილებიც არიან (რ. ვ.).

◆ 21 აპრილს ხულიგანებს ბლაგოვეშჩენსკშიაც მოუხდენიათ **უწესოება**. მაღაზიები დაუნგრევიათ, დუქნები აუკლიათ და კერძო სახლებისათვის ქვები დაუშენიათ (რ. ვ.).

◆ ოდესსაში პოლიციას **იარაღის საიდუმლო საწყობი აღმოუჩენია** (რ. ვ.).

◆ 20 აპრილს ხერსონის საერო ბიბლიოთეკაში ექიმ ქალს იაკოვენკოს მოხსენება წაუკითხავს პიროგოვის კრების შესახებ. რეზოლუცია დამსწრეთ ყვირილითა და აღტაცებით მოუსმენიათ, მერე კი ქუჩაში გასულან და **დემონსტრაცია მოუხდენიათ**. (რ. ვ.).

◆ ეკატერინისა, ხარკოვო-ნიკოლაევისა და კურსკო-ხარკოვო-ნიკოლაევის რკინის გზებს **უცხოელი კაპიტალისტები 800 მილიონ მანეთად ყიდულობენ**. ეს გზები ყოველ წლივ წმინდა მოგებას 25—30 მილიონ მანათს იძლევიან.

◆ პეტერბურის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ოპელმა საბჭოში შემდეგი განცხადება შეიტანა: შინაგან საქმეთა მინისტრის-მიერ 18 თებერვლის რესკრიპტის ახსნა-განმარტება არ მივიღოთ და, რადგან მინისტრის ცირკულიარი კანონსა და უმაღლეს სურვილს ეწინააღმდეგება, ამიტომ ეს ცირკულიარი განვასაჩივროთო (რ. ვ.).

სადღეისო

გუშინ და დღეს

(ძველი ამბავი)

ბალღო, ნუ სტირი! ნუ ხმიკლებ მუდამ წუწუნით!..

შე უსუსულო, ჯერ რძე პირზე არ შეგშრობია და ახლავე გატყობ, რაც იქნები, შე არამზადავ!

— დაუდეგარი, ჭირვეული, მოუსვენარი, შფოთის მოყვარე და მისივე მქადაგებელი...

შე საძაგელო, შე წყეულო, შეჩვენებულო! გაჩუმდი მეთქი! ჩაიკმინდე ხმა სამუდამოთ...

რად აღარ მაძლევ თვალში ძილსა და მოსვენებას!... ძილს უკრთობ იმას, ვინც მარადის შენ ბედს ფიქრობდა, შენსა წარსულზე, შენს აწმყოზე და მომავალზე... შენს მამა-პაპას ურიგებდა უხვ მოწყალებას, და ისინიცა ხელ-აპყრობით შემომყურებდნენ .. თუმცა მათშიაც კი ერივნენ არამზადები...

ვაჰმე! ვერ შევძელ მათი მოთხრა ძირ ბუდიანათ, იმათი აღგვა სამუდამოდ ქვეყნის პირიდან, რომ მათი თესლი, სახსენებელი მომესპო სრულად...

დღეს, აგერ მათი ნაშთები, მათი ნაბარტყი სულს, გულს მიხუთავს თავის ანჩხლობით, ჭირვეულობით!..

სუ-მეთქი, ბალღო! კიდევ სტირი, ბოროტის თესლო?.. მაშ, შენთვის მე მაქვს საშუალება საუცხოვო რამ: ტყეში მზადდება შიშხართები, სახრე-შოლტები,—მით აგიჭრელებ, ურჩო ბალღო, ზურგსა და გვერდებს, რომ არსებული შენში უკვე მიდრეკილება ახლავ აღმოვფხვრა და არ მივცე განვითარება!“...

სცემდნენ უწყალოდ იმ საბრალოს, იმ უშემწეოს! სცემდნენ ხელ-მარჯვე ჯალათები სახრე-შოლტებით; სცემდა სუყველა—„დიდი“, „მცირე“ განუკითხავად, სცემდა იქამდის, რომ მოსდიოდა სისხლი თქრიალით! სცემდნენ—ამავ დროს მისივ შრომით იკვებებოდნენ!..

არვის ესმოდა, რას ითხოვდა ის საცოდავი!— სცემდნენ იმისთვის, რომ გაბედა იმან ტირილი, იწყო ზლუქუნი და დაუფრთხო ძილი ბატონსა!.

სცემდნენ, რომ მოსპონ იმის სულში „მავნე თვისება“, სათავეშივე ჩაანელონ ხმა საზარელი,— მონის ჩივილი, უმწეობის გამომხატველი...

ვერა, ვერ შესძლო სახრე-შოლტმა შეუძლებელი! ვერ აუსრულა ცემა-ქლეტამ წადილი მტარვალს. ვერ ამოართვა იმან ბალღსა მედგარი სული, ვერც ამოგლიჯა სამეტყველო ძლიერი ენა!..

მოხდა, რაც უნდა დღეს თუ არა—ხვალ მომხდარიყო, გამოფხიზლების გზას დადგა ჩაგრული მონა... და დაჭაბუკდა, მოიკრიბა ძალა და ღონე. და დავაჟკაცდა, გაძლიერდა კიდით-კიდე!—ტირილის ნაცვლად ამოიღო მან ხმა მედგარი და მედგრათავე მოითხოვა თვისი უფლება.

შესძახა რიხით: „ძირს მტარვალი! შორს ის მზრუნველი, რომელსაც მხოლოდ თავი უყვარს, სხვა არაფერი... ჩემის ნაოფლით და სისხლის სმით ვერ გამაძღარა!.. მე ვკვებავდი მას, ჩემსავ მტარვალს ვასაზრდოვებდი!.. გუშინ ბალღობით ჩავიდინე ეს „უგნურება“ და უმეტესიც ბოროტება,—ავაზაკობა!..

დღეს ეს შეცდომა სამუდამოთ უნდა გასწორდეს!—მე ჩავიდინე—მევე ვკისრულობ მის გასწორებას, სხვას არც კი ძალუძს, რომ ეს საქმე მოიმოქმედოს!..

აწ მე თვითონ ვარ ხელმძღვანელი ჩემის თავისა!—ჩემს წყლულს, სატკივარს ნეშტრის ძალით მევე გავკურნებ!.. მე ვარ დღეს მისი დოსტაქარი და ჯანაოზი!

ახლა აღარ მწამს დაპირება, რომ მესმის მარად!

აღარ ვარ ბალღი, რომ ისევე მომატყუილონ მე და დაპირება საჩუქრებით ჩამიგდონ ენა!..

«საჩუქრებიო»?!. განა რა მაქვს მე სამოწყალო?!. რას მიწყალობებს გუშინდელი სისხლის მწოველი?!. ჩემის მსჯაკრის წინ დღეს თვითონ დგას გაფითრებული,—მიუდგმელად მევე განვსჯი მის მოქმედებას!..

დ. ჭოლეველი.

სამეცნიერო წერილი

ბრძოლა არსებობისათვის მიკრობთა შორის?

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საჭმელთან, წყალთან და აგრეთვე პურთან ერთად ადამიანისა და საზოგადოდ ყოველ ცხოველის ნაწლევებში მრავალი სხვადასხვა მიკრობები ჩადის, სადაც ერთგვარი მასაზრდოვებელი სითხე და სითბოც ფრიად ხელს უწყობს მიკრობთა გამრავლებას, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა აუარებელი რიცხვი ამ მიკრობებისა უნდა იყოს ჩვენს ნაწლევებში. ხოლო თუ იმ გარემოებასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ მიკრობთა შორის ბევრი შხამიანიცაა და ამიტომ ადვილად შესაძლოა ადამიანის სხეული სასიკვდილოდაც მოიწამლოს, მაშინ ყველასთვის ცხადი გახდება, თუ რა მუდმივ განსაცდელშია ადამიანი.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ და სასარგებლოდ, თვით მიკრობთა შორის გამუდმებული და შეუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის. ამ ბრძოლის წყალობით ერთგვარი მიკრობებისა ან სულ ანადგურებს ან და ისე ასუსტებს სხვა მიკრობებს,—შხამიანებსაც, რომ ეს უკანასკნელნი უმეტესად სრულებით უვნებელნი არიან ადამიანის სხეულისთვის. მეცნიერმა ბინშტოკმა ძაღლს აყლაპა სხვადასხვა-გვარი შხამიანი ბაცილები, შემდეგ გაუჭრა მას მუცელი და გაუშინჯა ნაწლევები: ნაწლევების ზემო ნაწილებში მრავლად იყო გადაყლაპული შხამიანი ბაცილები, ხოლო ქვემო ნაწილებში კი—სრულებით აღარა; სამაგიეროდ, ძლიერ გამრავლებული იყო bac. coli commune. ეს ბაცილა მუდმივ იმყოფება ნაწლევებში და მის დანიშნულებას, სხვათა შორის, შეადგენს ის, რომ ებრძვის სხვადასხვა-გვარ შხამიან ბაცილებს, რომლებიც საჭმელთან ერთად ჩაჰყვება ადამიანს ნაწლევებში.

გარდა ამისა, იმავე ბინშტოკმა სამი კვირის განმავლობაში მრავალი bac. putrificum—ბაცილა, რომელიც ორგანიულ ნივთიერებაში გამოიწვევს გახრწნას,—გადაყლაპა, ხოლო როდესაც ბაქტერიოლოგიურად გამოიკვლია თავისი განავალი, აღმოჩნდა, რომ მასში არც ერთი ზემოხსენებული ბაცილა აღარ იყო,—მაშასადამე, ნაწლევებშივე განადგურებულა ბრძოლაში სხვაგვარ მიკრობებთან.

უკანასკნელ მეცნიერულ გამოკვლევიდან სჩანს, რომ ხოლერის ბაცილები მიწის ნიადაგის ზემო ნაწილში მრავლდებიან; მრავლდებიან განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიწას ახურებს ზაფხულის მზის სხივები. ამ დროს მზის სხივების გავლენით მიწაში იხოცებიან ის მრავალი სხვადასხვა ბაცილები, რომლებიც ებრძვიან არსებობისათვის ხოლერის ბაცილებს.

თუ რამდენად ძლიერი არის ბრძოლა არსებობისათვის მიკრობთა შორის, სჩანს შემდეგიდანაც: მეცნიერთ ვერ აეხსნათ მიზეზი, აუდუღებელი—უმი რძე რატომ ფუჭდება უფრო გვიან, ვიდრე ადუღებული. ეს გაუგებარი მოვლენა ახსნა მეცნიერმა ბინშტოკმა,—ახსნა იმ ბრძოლით, რომელსაც ეწევიან მიკრობები არსებობისათვის: რძეში ყოველთვის არის ერთგვარი მიკრობი bac. lactis aerogenes, რომელიც ებრძვის და ნებას არ აძლევს, გამრავლდნენ რძეში სხვაგვარი რძისთვის მავნე ბაცილები. ამათ შორის ჩვენ უნდა დავასახელოთ ერთგვარი ბაცილა—bac. putrificum. ეს ის ბაცილაა, რომლის გავლენით რძე იჭრება. ხოლო თუ რძე ადუღებულია,—მაშასადამე, bac. lactis aerogenes სიცოცხლის ძალას მოკლებულია, მაშინ რძეში უფრო ადვილად მრავლდება, სხვათა შორის, ის ბაცილაც—bac. putrificum, რომელიც რძეს სჭრის. ამიტომაც აუდუღებელი რძე უფრო ადვილად იჭრება.

ექიმი ბადრიძე

კორესპონდენცია

ქუთაისი. ქუთაისის სამხედრო გენ.-გუბერნატორმა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთ ნება დართო, 23 აპრილისათვის კრება მოეხდინათ. ეს მოვლენა, რასაკვირველია, საყოველთაო სიხარულად მოეფინა ყველას, როგორც მასწავლებელთ, ისე გარეშეებსაც.

22 აპრილს, საღამოს, ქუთაისის ბულვარი სოფლის მასწავლებლებით გაიჭედა. ყველას სახეზე აღტაცება და სიხარული ეტყობოდა, რადგან მეორე დღეს ელოდნენ სასიქადულო კრებას, სადაც თამამად შეეძლებოდათ ლაპარაკი თავიანთ, მართლაც რომ შესაბრალისს, ცხოვრება-მდგომარეობის გაუმჯობესობაზე. გათენდა 23 აპრილი და წინადღის სიხარული მწუხარებად შეეცვალათ, რადგან გენ.-გუბერნატორის განკარგულებას თურმე ვიღაც ზოგიერთები წინ გადაეღობნენ (ეს შეუძლოდ მაჩნდათ მასწავლებლებს). საჭირო შეიქმნა დეპეშით მიემართნათ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისათვის ამ გარემოებამ მასწავლებელთ წყლი მოსწყვიტა.

24 აპრილს მასწავლებლებმა საოლქო მზრუნველისაგან თავისს დეპეშის პასუხად უარი მიიღეს. ამით მთლად გულგატეხილნი მასწავლებელნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „ნუ თუ ადამიანად არ ჩაგვაგდეს, აგრე მწარედ რად მოგვატყუეს!..“

მასწავლებელთ, როგორც მუშა ხალხს, ბევრი რამ ქონდათ სათქმელი, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ბიუროკრატიამ მათ პირზე ხელი დააფარა.

პოლიციის მოხელეები, რაკი გაიგეს, რომ მასწავლებლები „ურათ დაასაჩუქრეს“, გამობრუნდნენ სამოღვაწეოდ და ბულვარში აქა-იქ შეგროვებულ მასწავლებელთ რუსულის ბრძანებით ბაღიდან გამოდევნა დაუწყეს. მონობა-მორჩილობაში აღზრდილნი მასწავლებელნი შიშის თვალით უყურებდნენ პოლიციის აგენტებს და მათ ნებას ასრულებდნენ. წინა ღამეებში პოლიციის უმცროს მოხელეებს არც სასტუმროები დაუტოვებიათ უყურადღებოდ და ზოგან მასწავლებლებს თავის უდროოდ და მოულოდნელად სტუმრობით მიადი დაუფრთხეს!.. მასწავლებლებმა ქუთაისში ყოველ მხრივ შევიწროება იგრძნეს და სასტიკად გულდაწყვეტილები თავ-თავიანთ სოფლებში წავიდნენ. ასე უსიამოვნოდ ჩაიარა ქუთაისში მასწავლებლების შეკრებამ; ან აქამდე როდის იყო, რომ მათი მისწრაფება და წყურვილი დაკმაყოფილებულიყო?!

მელქისედეკ მიდოსვაძე.

გურია. რამდენად გამოიცვალა გურიის ხალხის ცხოვრების მიმდინარეობა და მაზე შეხედულება, სხვათა შორის, იმაშიაც გამოისახება, თუ როგორ შეხვდა ..ვლის სალხი აღდგომის დღესასწაულებს. ჩვეულებრივი სახე-განბრწყინვებული შეხვედრა ხსენებულ დღესასწაულისა, რასაც დროებით ივიწყებდა ყველა თავის ჭირ-ვარამსა და გაჭირვებულ ცხოვრებას და მხიარულად გადაძახება: „ქრისტე აღსდგაო“, წელს უგულო და უფერული იყო. უფერული და ნაძალადევი იყო პასუხი „ჭეშმარიტად“, რომელიც უფრო იმას ნიშნავდა: „არა, ძმავ, ჯერ არ ამდგარაო“!.. არა ყოფილა ჩვეულებრივი ცეკვა-თამაში ქალ-ვაჟთა მუსიკადარის ხმაზე, არა ყოფილა გურულთა დიდათ საყვარელი „ბურთაობაც“ კი! არ იყო ნაძალადევი ღვინის სმა და მთვრალობა, რაიც გამომწვევია ათასნაირ ჩხუბისა და თავპირის მტვრევისა. ასე რომ, საუკუნოებით შესისხლხორცებულ ჩვეულებებს გურიის ხალხი სისწრაფით გვერდზე სდებს და გამსჭვალული მხოლოდ-და ერთის აზრითა და მისწრაფებით მომავლის უკეთესის, ენერგიულად ემზადება ცხოვრების განახლებისთვის და, როცა უკვე შეგნებული იდეალი ყველასათვის განხორციელდება, მაშინ ერთხმად—შესძახებს „აღსდგაო“ და ერთხმადვე უპასუხებს „ჭეშმარიტადო“. მანამ კი საჭიროდ არ მიაჩნია უსარგებლო ქეიფი, დროს ტარება და სხვა ამგვარები; ამის ნაცვლად ფხიზლად ადევნებს თვალ-ყურს ცხოვრების მიმდინარეობას და არ უნდა უბრალოდ მოვლენაც კი გაუგებელი და გამოურკვეველი დარჩეს.

გასულ წლებში ოზურგეთის ვაჭრები დიდის მოწიწებითა და მუხლ-მოდრეკით თხოულობდნენ ჯარების გამოყვანას, რითაც ვაჭრობა „აღორძინდებაო“, და ბევრი თხოვნები დაიხარჯა ამისთვის, მაგრამ უყურადღებოდ იქმნა დატოვებული. ხოლო ახლა, როცა ასე „მოგვხედა ღმერთმა“ და ჯარები ათასობით მოვიდა, ვაჭრებმა ულვაშებში ჩაიცინეს. გაჩნდა ვაჭრობა, იმათა დახმარებ! „შენ გხუმრები, ძმავ, ცოტა წელში აგიწიოთო“—გესმის ხშირად! გადირიე? რა არის სახუმარო? ვაჭრები თუ გამდიდრდა, სხვას შენი ჭირი წაუღია! რაღა ეშველს საწყალ მუშა-ხალხს, ვისთვისაც ეს ჯარებია მოსული, რაღას დააკლებს?! თუმცა ვაჭრებმაც კი იგემეს ჩვეულებრივი „კასრიერობა“, «ზრდილობიანი» სიტყვები, „დობიერი“ თოფის კონდახი და „მუშტის სუნი“, მაგრამ ამას, ოღონდ კი ფული იყოს და, კაცი გაუძლებსო!..

ოზურგეთის ქალაქის ბაღში კვირაში სამჯერ უკრავს სამხედრო მუსიკა, მაგრამ რაღაც „სუბედურდ“ ვერავის ვერ იზიდავს! უმეტესად ბარიშნების მიუკარებლობა სწყინთ მოსულთ, თუმცა ჩვენი „სონიჩკა“ და „მარუსია“ ყოველთვის ამკობენ ბაღს და ენერგიულად ცდილობენ მიმზიდველობა იჩვენონ; „რეკომენდაციას ჩვენ გაგიწევთ ახალ კავალრებთან, მოდით ბაღშიო“,—ემუდარებიან ერთსა და მეორეს, მაგრამ, დასწყევლოს ეშმაკმა, რომ არავის უჯერებს? რას იზამ, დრო იცვლება! ისევ მარტო ისეირნონ!..

ოზურგეთის ახლოს მცხოვრებ ერთის გლეხის ქალი ერთ რუსს წაჰყოლია ცოლად, რომელიც ერევანში მსახურებს საერობო დარაჯად. სააღდგომოდ სიძე და ქალი სტუმრად მოსულან მამის სახლში. 20 აპრილს ეს „პატიოსანი“ ქმარი დამთვრალა ბაზარში, წაუყვანია თან ათიოდე კაზაკი და მისულა სახლში. როცა დარწმუნებულა, რომ იქ კაცი არავინ იყო, რაღაც მიზეზის გამო, დაუწყია ცოლისთვის უწყალოდ ცემა და ყველაფერი დაუმტვრევია. ქალებს დაუწყიათ კივილ-ყვირილი, მოცვივნულან მეზობლები და ძლივს მოუშორებიათ. თავპირ დასისხლიანებულ და შეურაცხყოფილ ქალს მიუმართავს ქალაქის ბოქაულისათვის, რომ დაეფარა ასეთ ძალ-მომრეობისაგან, მაგრამ ბოქაულს უთქვამს: „ეს ჩვენი საქმე არ არისო“! შემდეგ მისულა ქალი მაზრის უფროსთან, მაგრამ იმისგანაც იგივე პასუხი მიუღია: არც ჩემი საქმეაო! მაშ რაღას გაიძახიან; „ყველა საქმისათვის ჩვენ მოგვმართეთო“.

ამას წინად ს. გურიანთაში დაჭერილ კაცებიდან ოთხი ციხიდან გაანთავისუფლეს. ამ ერთი კვირის წინად ს.ს. ლიხაურსა და მაკვნეთში დაიჭირეს შვიდი კაცი და ხუთი მეორე დღესვე გაანთავისუფლეს, ორი კი ისევ ციხეში 'ზის.

თ. მიხეილ თავდგირიძე, რომელიც ერთი კვირა იჯდა ციხეში, გაანთავისუფლეს, ხოლო გურიაში ცხოვრება აუკრძალეს.

აღდგომის მეორე დღეს ს. ძიმითში მოჰკლეს ამავე სოფლის მცხოვრები გ. ხელაძე და დასჭრეს მასთან მიმავალი თავისი და. მკვლელობის მიზეზი რომანიულია.

ჭინკაი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

27 პრილი.

პეტერბურგი. „რუსსკი ინვალიდ“-ს მინდობილი აქვს გამოაცხადოს, რომ მუკდენის ომში რუსის არტილერიამ დაჰკარგა სულ 35 ზარბაზანი.

გუნჯულინი. თუმცა იაპონელებს წინ წამოსვლა ეტყობათ, მაგრამ ჩვენს ჯარში სრული სიწყნარეა.

პარიზი. ინგლისის წყაროებით, ინგლისის ესკადრების ადმირალებს შორეულ-აღმოსავლეთში თათბირი ჰქონიათ ჰონკონგში, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ ნეიტრალიტეტის დარღვევის გამო. მეზღვაურები გემებიდან ხმელეთზე არ გადასულან.

ტოკიო. ვლადივოსტოკის ესკადრის შესახებ ცნობები მოვიდა: „როსსია“ და „გრომობოი“ შეუკეთებიათ, „ბოგატირი“ ჯერ ბრძოლისათვის არ გამოდგება. არის ცხრა ნაღმოსანი და მასალა სამ კონტრ-ნაღმოსნის ასაგებად. ხუთი წყალში მავალი ნავი დაუმთავრებიათ.

საფრანგეთის ესკადრა შეკრეფილია ანამის ნაპირებთან. ინგლისის 23 სამხედრო გემი ჰონკონგშია.

ტოკიო. აქ მოუსვენრობა დაეტყოთ, რადგან ამბობენ, რუსეთის ესკადრა იაპონიისაზე ძლიერიაო. ამ მიზეზით ტოგომ იერიშის მიტანა ვერ გაბედა. რუსის ესკადრამ ტოგოს ესკადრა რომ შეასუსტოს, იაპონელების ბატონობა ზღვაზე რამდენიმე ხანს მაინც შესწყდება და ამ დროს მანჯურიის ლაშქარი დიდს გაჭირვებას გამოივლისო.

ჰონკონგი. ხანკოუდან ბალტიის ესკადრის სანახშირო გემები მოვიდნენ. რუსების ყველა გემები მომზადებული იყვნენ წასასვლელად 22 აპრილს და ყოველ დღე თითო გემი 250 ტონს ნახშირს იღებდაო.

ნატრან, 26 აპრ. როჟდესტვენსკის ესკადრის მთელი ფლოტი წავიდა.

პარიზი, 27 აპრ. ადმ. ჟონკიერი დეპეშით იუწყება, რუსეთის ესკადრა ვანფონგიდან არავინ იცის, საით წავიდაო.

სიტიაძა, 26 აპრილი. უკანასკნელ დღეებში იაპონელებმა საყარაულოები ოთხი ვერსით წინ წასწიეს. საზოგადოთ მოწინააღმდეგეს მოძრაობა ეტყობა

ტოკიო, 25 აპრ. ანამის ნაპირებთან ფრანგების 23 გემია. ჰონკონგში მყოფ ბრიტანელთა წყალ-ქვეშ მავალ ნავებს ეუწყა, პესკადორის კუნძულებთან წყალში ნაპირიდან ექვსი მილის მანძილზე ნაღმებია ჩაწყობილიო.

ლონდონი. ცნობა მოვიდა, როჟესტვენსკის ესკადრას ნახშირი იაპონიიდანაც მიუღია. ნახშირი უცხოელების გემებს მიჰქონდათ, რომლებიც ჯერ იაპონიაში ნავთსადგურებში იცლებოდნენ, მერე ნახშირს იღებდნენ, ჰონკონგს მიდიოდნენ, იქ ბრძანებას იღებდნენ, სინგაპურს უნდა წახვიდეთო, და იმის მაგიერ როჟესტვენსკის ესკადრისკენ მიდიოდნენ. ამრიგად იაპონელები, რომლებიც საფრანგეთს ამტყუნებენ, თავიანთ ნავთსადგურებშიც კი ვერ ახერხებდნენ, რომ მტრისთვის არ გაეგზავნათ კონტრაბანდა.

უდიდესი გემი დედამიწაზე «მინნეზოტი», 20718 ტონიანი, ამერიკის სიამაყედ წოდებული სეტლიდან გამოვიდა, დიდძალის სანოვაგით დატვირთული, იაპონიისათვის და სხვა საქონლით ჩინეთისათვის. დაზღვეულია 300 ათას გირვანქა სტერლინგში.

ტოკიო. რუსები ჯარებს აგროვებენ, რომ კორეას შეესიონ ჩრდილოეთიდან და ამით ვლადივოსტოკი დაიცვან. ამბობენ, 15 ათასი ტუმენის მარცხენა ნაპირს უკვე გადმოსულაო. იაპონიაში ეს ამბავი არაფრად მიაჩნიათ.

პარიზი. საიგონიდან დეპეშით იუწყებიან, 26 აპრილს რეიდაზე ნებოგატოვის ესკადრა შეუნიშნავთ ნაპირიდან 20 მილის სიშორეზე, კუნძულ იაკობის გასწვრივ. ის აპირობდა მდინარე საიგონში შესვლას. იმედი ჰქონდა, იქ აცნობებდნენ, რა ადგილს უნდა შეუერთდეს როჟესტვენსკის ესკადრას და თან სურსათსაც იშოვნიდა. ხოლო ზღვაზედვე დაუხვდნენ როჟესტვენსკის ესკადრის მზვერავი გემები და საფრანგეთის მთავრობის სურვილი გადასცეს, რომ ესკადრების შეერთება ინდო-ჩინეთის წყლებზე არ მოხდესო. ამას შემდეგ ნებოგატოვი გაბრუნდა და როჟესტვენსკის ანამის ნაპირებთან შეეყრებოდა.

მოსკოვი, 26 აპრ. გაზეთების ცნობით, გაზეთის ასოთ-ამწყობნი კვირაობით დასვენების შესახებ აგიტაციას ეწევიან.

კიშინიოვი, 26 აპრ. სოფ. მალოეშტაში დაიწვა გნეინა აბამელიქის სახლკარი. მიზეზი—აგრარული უთანხმოებაა.

ოდესა, 26 აპრ. მეწაღეები და მეჩექმეთა სახელოსნოების მუშები გაიფიცნენ. მებუღქეთა გაფიცვა დასრულდა.

ბელგრადი, 26 აპრ. გამოცემულია ახალი სესხი 110 მილ. ფრანკ. 43 მილ. იარაღის შესაძენად გადიდება, 30 მილ. რკინის გზებისთვის, 18 მილ. მცირე ვადიან სესხის გასასტუმრებლად.

ლონდონი, 27 აპრ. ირლანდიის მართვა-გამგეობის საქმეში ამას წინად მომხდარ ამბის გამო კემბელ-ბანერმანმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, მაგრამ პალატამ, 318 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 252 ხმისა, უარჰყო.

ნოვოჩერკასკი, 26 აპრ. მშობლებმა სთხოვეს სკოლების მთავრობათ, რომ 1 მაისს შეგირდებს არა აუტეხონ-რაო.

ბათომი, 26 აპრ. ქალაქის შუამდგომლობა მუშათა და ხაზეინთა შორის უთანხმოების გამომრკვევ კომისიის შესადგენად,—შეწყნარებულ იქმნა. წევრებათ იქნებიან წარმომადგენელნი ქალაქისა, ვაჭრობის, საფაბრიკო ინსპექციისა, დამოქნისა, ნავთსაყუდლისა ადმინისტრაციისა და მუშებისა.—ყვავილისა და ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ ზომებს იღებენ.

ესსენი, 27 აპრ. საზოგადო გაფიცვას ქესატობა მოჰყვა. გაზეთები არ გამოდის. 3000 გაფიცული ქუჩა-ქუჩა დადის. შეერთებით პოლიცია და ჯარი ცივი იარაღით ჰფანტავს. ორივე მხრით [illegible] კაცია დაჭრილი.

კიევი. სამგზავრო მატარებელი სადგურ ბროვართან გზის გარდიგარდმო გადებულ რელსს წაწყდა და გაჩერდა. ორთქმავლის თვალი რელსს გადასცდა.

პარიზი. სანის დამხობა ოფიციალურად მტკიცდება. აჯანყებულებს 30 ზარბაზანი, 20,000 თოფი და ცრავალი ტყვია-წამალი რგებიათ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 26 აპრილი 1905 წ.

სამ-თვიან ვექსილის კურსი:

ლონდონის ბირჟაზე 10 გირვ. სტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ჩეკები ლონდონისაზე	94,85
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{2}$—$6\frac{3}{4}$%
4% სახელმწიფო რენტა	$84\frac{6}{8}$ ნის. გაყ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	377 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$299\frac{1}{4}$ „
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	$268\frac{1}{2}$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
$4\frac{1}{2}$% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	$215\frac{3}{4}$
ძ. ნობელის ნავთ. მრეწვ. ამხ. პაი	9975 ნის. გაყ.

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელემიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

„წერა-კით. საზოგადოების“ კანცელარიაში
(სასახლის ქ., თავ.-აზნაურობის ქარვასლა)

იყიდება

რონინაშვილისეულის ფოტოგრაფიის ავეჯეულობა

დივანი, სავარძლები, სარკეები, ტრიუმო, კამოდი, სტოლები, სკამები და სხვ.

ნახვა შეიძლება დილის 10—2 ს. და საღამოს 5—9 ს.

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავს
და საკაზმავ საქმეებს, რუსულ,
ქართულ, სომხურ და ფრანგულ
ენებზე და ასრულებს ძლიერ სწრაფად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასებში.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.